საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 12 თებერვალი. 1920 წ.

ბრძოლა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ფასდება 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×8 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 6, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მე-18-დან.

№ 33 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 33

პეტრე ნიკოლოზის ძე ციცისთავიშვილი, სერგეი და ივანე ნიკოლოზის ძე ყაზახაშვილები, თინათინა ნიკოლოზის ასული იაგორაშვილისა შვილებით, ანა ნიკოლოზის ასული ქევხიშვილისა და მარია ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 14 თებერვალს გადახდილი იქნება ქალაქ თელავის ღვთისმშობლის ეკლესიაში წირვა ხოლო პანაშვიდი საფლავზე მათი დაუვიწყარი: პირველის მეუღლის და დანარჩენების დის

ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასულ ციხისთავიშვილის

ორმოცი დღის გარდაცვალების მოსახსენებლად. (509 1—1)

მიცვალებულის ქვრივი ადელი გაბრიელის ასული, რძალი ნადია ივანეს ასული; შვილები: ლავრენტი, მართა, პასიკო, ვალერია წურწკავები, ეფროსინე თუთბერიძისა; შვილის-შვილები: გიორგი, ვალოდია, დათო ალექსანდრეს ძე წურწკავები, გრიშა თუთბერიძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

პავლე როსტომის ძე წურწკავას

წლისთავის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფელ გეჯეთში (სენაკის მაზრა), მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, ხუთშაბათს, 12 თებერვალს, 12 საათზე. (512 1—1)

მეუღლე ნინო გიორგის ასული, მამა დავითი, დედა ბაბალინე, შვილები დათიკო, გენრიეტა და გიგი გოგოლაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 12 თებერვალს ს. ძევრში (იმერეთი) წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის ძვირფასი

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილის

სულის მოსახსენებლად. (514 1—1)

სიდედრი სარრა (სალომე) ბიჭიას ასული, ცოლის ძმა ნიკო გიორგის ძე, რძალი ანნა ეგნატეს ასული, ცოლის დები ნადეჟდა, ელენე (ცაცა) და თამარი გიორგის ასულნი ქაჯაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 12 თებერვალს ს. ძევრში (იმერეთი) წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის ძვირფასი

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილის

სულის მოსახსენებლად. (514 1—1)

და მარუსა დავითის ასული ზედგენიძისა, სიძე პეტრე ვასილის ძე ზედგენიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 12 თებერვალს ს. ძევრში (იმერეთი) წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის ძვირფასი

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილის

სულის მოსახსენებლად. (514 1—1)

დამწუხრებულნი მშობლები ანტონ და მართა, ძმები: სამსონ, ლადიმე, რაჟდენ, ვასო და ილიკო, და ანეტა, რძლები: ვერა, მართა, ელისაბედ და სონა სალუქვაძეები მწუხარებით აცნობებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ქალაქ ბათუმში 9 თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა

გიორგი ანტონის ძე სალუქვაძე

(518 1—1)

დავით კლდიაშვილის
იუბილე

ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით კვირას, თებერვლის 15-ს სახელმწიფო თეატრში მოხუცებულ ბელეტრისტის 30 წლის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის იუბილე იმართება. ზეიმის პროგრამა საბოლოოდ ასეა შემუშავებული:

1) ივ. გომართელის მოხსენება იუბილიარის შემოქმედების შესახებ,
2) მილოცვები, 3) „დარისპანის გასაჭირი" 1 მოქ. იუბილიარისა.
4) „უბედურება". წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ქართველი მსახიობნი. (6. 3—2)

ახალი წიგნი

გამოვიდა სარგის კაკაბაძის მიერ შედგენილი

„საქართველოს მოკლე ისტორია"

ახალი საუკუნეების ეპოქა (მე-16 საუკუნიდან 1920 წლამდის), გამოცემა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირისა.

წიგნს თანდართული აქვს ისტორიული რუკა, შეიცავს საშუალოზე მოზრდილ ფორმატის 228 გვერდს და ღირს ხუთი თუმანი.

თბილისში იყიდება წიგნ-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პრ.

მთავარი საწყობი: თბილისი, კოოპერატივის ქუჩა № 15, საქ. ცენტ. კოოპერ. კავშირი, ტელეფ. № 4—32. (6. 3—2)

---

15 თებერვალს, 1920 წ. ქ. თბილისში საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დილის სრულ 10 საათზე თაიწყება

საქართველოს მეთამბაქოეთა
ყრილობა

დასწრების უფლება აქვს ყველა მეთამბაქოეთ, აგრონომებს და მოღვაწეთ, ვისაც დამოკიდებულება აქვს მეთამბაქოეობასთან. ერობები, კოოპერატიული და საკრედიტო დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

ვთხოვთ ყველას პროვინციიდან წარმომადგენლებს მოხსენებები ადგილებიდან. ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება ქვემო მოყვანილ მისამართით დილის 10 საათიდან 2 საათამდის. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 2 ტელ. 6—43.

(488—6—5) საორგანიზაციო კომიტეტი.

კბილის ექიმი აგრაფინა დავითის ასული

აბაზაძე

განაახლა კერძო პრაქტიკა. იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. საღ. ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე ელისაბ., რეუტ. და ბელგიელის ქუჩ). (467 6—4)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (6.—თ.)

ს. ერთაწმინდელი.

1910 წ.

სამი წიგნი:
„პოეტი—არწივი".
„პაწია ქნარი".
„შამილის ლოცვა".
1920 წ.

იბეჭდება და მალე გამოვა. (511—2—1)

სახელმწიფო ბანკი

დამფუძნებელმა კრებამ ამას წინათ მიიღო კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა. ბანკის კონსტრუქცია თვალსაჩინოდ განსხვავდება იმ კონსტრუქციისაგან, რომელიც არსებობდა ძველი რუსეთის და ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკაში. უდიდესი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბანკების ის უმეტესად ბიუროკრატიული წყობილება, რომელიც აქამდის თითქმის ყველგან მიღებულია, საქართველოში საზოგადოებრივ წყობილებით არის შეცვლილი, როგორც სახელმწიფოს კონტროლიორი პირდაპირ საკანონმდებლო ორგანოს მიერ არის არჩეული, მხოლოდ მის წინაშე პასუხისმგებელი და მთავრობაზე სრულიად დამოუკიდებელი,—ისე სახელმწიფო ბანკის გამგეს ირჩევს საკანონმდებლო დაწესებულება, რომლის წინაშეც პასუხისმგებელია იგი. ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელი დაწესებულება მისი საბჭოა. ამ საბჭოს წევრებს ირჩევს აგრეთვე დამფუძნებელი კრება.

ბანკის ამნაირი კონსტრუქცია, ჩვენის აზრით, ბევრათ სჯობია იმას, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია: ბანკი დამოკიდებული იქნება საკანონმდებლო დაწესებულებაზე, მის საშუალებით პირდაპირ ხალხის ფართო მასსაზე და არა მთავრობაზე ამნაირი ბანკის საკრედიტო ძალა ბევრათ უფრო დიდი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი ფინანსთა სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულება არის.

ბანკის მმართველის და მის საბჭოს წევრების კანდიდატების მოსაძებნათ დამფუძნებელმა კრებამ აირჩია სპეციალური კომისია, რომელიც საბიუჯეტო კომისიასთან ერთად ამ საქმეზე რამდენიმე თვეა რაც მუშაობს. ამ კომისიებმა დაასახელეს კანდიდატები ბანკის მმართველის და საბჭოს წევრებისა და ამ დასახელებას საფუძველში დაუდვეს გარკვეული პრინციპები. ეს პრინციპები სავსებით შეთანხმებულია იმ დედა-აზრთან, რომელიც დადებულია სახელმწიფო ბანკის დაარსების კანონის საფუძველში.

საბიუჯეტო საფინანსო და სარეკომენდაციო კომისიას საჭიროთ უცვნიათ სახელმწიფო ბანკის საბჭოში წევრებათ შევიდნენ, ერთის მხრით, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები; მეორეს მხრით, წარმომადგენლები იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათა, რომლებსაც კრედიტის საქმესთან აქვთ რაიმე კავშირი.

ამ კატეგორიაში შედიან წარმომადგენლები უმთავრეს საზოგადოებრივ ცენტრებისა; ერობათა კავშირისა, ქალაქთა კავშირისა და კოოპერატივთა კავშირისა; გარდა ამისა, საბჭოში შევლენ დამფუძნებელი კრების რამოდენიმე წევრიც; მესამე კატეგორიათ საბჭოში შევლენ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები. ამნაირი წესი საბჭოს შედგენისა ჩვენ მიზან-შეწონილათ მიგვაჩნია და გვგონია, რომ ეს წესი ხელს შეუწყობს ბანკის დაკავშირებას, ერთის მხრით, კრედიტის მქონე კლასთან—ვაჭარ-მრეწველებთან, მეორეს მხრით, ხალხის ფართო მასსასთან: ერობათა ცენტრი მას დაუკავშირებს სამაზრო და სათემო ერობების საშუალებით სოფლის მცხოვრებლებთან, ქალაქთა კავშირი მასთან დააკავშირებს ქალაქების მცხოვრებთ და დამფუძნებელი კრება კი მთელ ხალხთან საერთოდ.

ამნაირად სახელმწიფო ბანკიდან ბიუროკრატიული სული სრულიად გამოიდევნება: იგი იქნება ნამდვილი სახალხო დაწესებულება, ხალხის საკრედიტო ძალაზე აგებული, ხალხის კონტროლს ქვეშ მყოფი და ხალხის სრული ნდობით აღჭურვილი.

იგი იმდენათ აღარ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ მომენტზე და მის გავლენით გამოწვეულ ყოველ დღიურ პოლიტიკის ცვალებადობაზე. ამავე დროს ბანკი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების საშუალებით მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მთავრობასთან, მის პოლიტიკის ფარგლებში იქნება ჩაბმული და მას სათანადო ანგარიშსაც გაუწევს, მაგრამ ამავე დროს იგი ხალხის საჭიროების და მისი პირ-ვარამის მგრძნობიარე ორგანო იქნება და უპირველესი მისი საზრუნავი ის იქნება, რომ ამ საჭიროებას ემსახუროს და ამ პირ-ვარამს გამოუნახოს მალამო.

პოლონეთ-რუსეთ შორის ზავის შესახებ

გუშინდელ დეპეშიდან აშკარაა, რომ პოლონეთი ლენინის მთავრობასთან ზავის შეკვრას აპირებს. ჩვენ ვიცოდით, რომ მათ შორის საიდუმლო წინასწარი მოლაპარაკება სწარმოებდა. ერთნაირი ნიადაგი მზადდებოდა ოფიციალური გამოსვლისთვის. ეტყობა, რომ ეს ნიადაგი საკმაოდ მომზადებულია, რადგანაც ის, რაც საიდუმლოდ ხდებოდა, დღეს ორივე მხარემ საჯაროთ დაინახა ოფიციალურად გამოქვეყნებინა. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ამ ორი სახელმწიფოს შორის საზღვრების საკითხის გადაჭრა. მაგრამ თუ ორივე მხარემ დაბეჯითებით გადასწყვიტა ომს ბოლო მოუღოს, ეს საკითხიც მოგვარდება. პოლონეთი ყველა განაპირა სახელმწიფოებზე უფრო დაახლოვებული იყო მოკავშირეებთან და მათ საერთო პოლიტიკას დიდ ანგარიშს უწევდა. დღეს ევროპის მესვეურებმა გადასწყვიტეს ერთნაირი თავისუფლება მისცენ განაპირა სახელმწიფოებს. იმავე დროს მათაც აღადგინეს კავშირი—ეკონომიური—რუსეთთან. მართალია ალექსანდრე მილიერანი აცხადებს საფრანგეთის პარლამენტში, რომ ეს არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთის ცნობას, საქონლის გაცვლა-გამოცვლას ადგილი ექნება რუსეთის ხალხთან კოოპერატივების საშუალებით, მაგრამ დღეს ვინ არ იცის, რომ რუსეთის კოოპერატივები საბჭოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ისინი საქონელს აზიდებენ საბჭოს ადმინისტრაციის დახმარებით.

ოდესღაც გ. პლეხანოვმა იხუმრა ერთ ღვთის მოყვარე ბერზე: მარხვაში ამ ბერს მოუნდა ქათმის ხორცი. მეტად ეძნელებოდა მარხვის დარღვევა და იმავე დროს მეტად ეტკბილებოდა ქათმის წვენი. ბოლოს გამონახა უებარი საშუალება ერთ და იმავე დროს სულის საცხონებლადაც და ხორცის დასაკმაყოფილებლადაც. მან დაიჭირა ქათამი, მონათლა ის ქრისტიანულ წესისამებრ და დაარქვა „კალმახი". კალმახის ჭამა კი აკრძალული არ იყო და ჩვენი ბერი მშვენივრად ეახლითა. ასე იქცევა ევროპის მთავრობებიც. ის თავისუფლებას აძლევს განაპირა სახელმწიფოებს, რომ ზავი შეკრან საბჭოს რუსეთთან, და თვითონ ეკონომიურ კავშირს იჭერს მის კოოპერატივებთან.

პოლონეთი სარგებლობს თავისუფლებით და მოლაპარაკებას მართავს მოსკოვთან. ვარშავის მთავრობა შიგნით გამაგრებული რომ არ ყოფილიყო, მას ისე დაუწყებდნენ ლაპარაკს, როგორც უკრაინის სუსტ მთავრობას. საბჭოთა რუსეთი მხოლოდ ძლიერ ხალხს ელაპარაკება. ვისაც უნდა ზავი მოსკოვთან და ჩქარა ომის გათავება, ის ძლიერ უნდა გამაგრდეს შიგნით. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოსალოდნელი ზავი აუცილებელი გახდება მოსკოვის მთავრობისთვის.

ბ. თეკლათელი.

პრესა

„აშხატავორის" (№ 32) მოჰყავს „ერთობის" (№ 29) და „საქართველოს" (№ 27) შენიშვნები მისი მეთაურის შესახებ ადგილობრივ ერობებში სომეხ მშრომელ ხალხის მონაწილეობის მიღებისა და შემდეგს სწერს:

„სოციალ-დემოკრატიულ „ერთობის" და ნაციონალ-დემოკრატიულ „საქართველოს" შენიშვნები მეტათ დამახასიათებელი არიან. ფრაზ-პატრიოტიზმის ჭირით შეპყრობილი მეწინავეები საზოგადოთ არ ითმენენ არავითარ კრიტიკულ სიტყვას და თავიანთ ბიუროკრატიულ მაღლობიდან განაგრძობენ კვეხნას, „ასე ყოფილა, ასევე იქნებაო".

„ვიცით, რომ საქართველოს თავადთა და ბურჟუაზიის კლასის ინტერესების „ედემით" დამცველ „ერთობისთვის" არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სომეხ მშრომელ ხალხის საქმეში მონაწილეობის მიღებას თუ არ მიღებას, მაგრამ ვიცით ისიც, რომ ამას არ ფიქრობს ქართველი დემოკრატია და ის გაუგებია თვით „საქართველოსაც"...

„იქნება არ არის, რომ ნაციონალ-დემოკრატები „სიამოვნებით" მიიღებენ ყველა იმათ, რომლებიც გამართლებენ უმაღლესი უკანონო ქვეშევრდომობის კანონს; ამიტომ უფლება შეგვინიშნოთ, რომ თანამშრომლობა „საერთო აღიარებულ ასპარეზზე" შესაძლებელი იქნება მხოლოდ თვითმპყრობელ ტაქტიკაზე ხელის აღებით".

რაზე მიგვინიშნე წელს საჭყოლ „აშხატავორის" მიწოდება სამხედროსთან, ერობებში მონაწილეობის შესახებ?

ერობებში მონაწილეობით „დაშნაკცუტიუნს" მიზნად აქვს დასახული ბრძოლა მხოლოდ საქართველოს „ტირანულ მთავრობასთან".

ეს „აშხატავორმა" აშკარად აღიარა, ეს ჩვენ აღვნიშნეთ და განვმარტეთ, თუ რა მნიშვნელობაც ექნებოდა ასეთ „მონაწილეობას".

„აშხატავორი ეხლაც ძველ გზას ადგას: ის მოითხოვს „თვითმპყრობელ ტაქტიკაზე" ხელის აღებას და ს.დ. ამასთან ერთად „აშხატავორი" ფიქრობს ფონს გასვლას მაგარი სიტყვებით—კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს სოციალ-დემოკრატობას.

ვინ არ იცის, რომ თუმცა „აშხატავორს" ხურავს სოციალისტის ქუდი, თუმც მას ზედ აწერია: „საქართველოს მუშათა და გლეხთა ორგანო", მაგრამ ყველასათვის აშკარა დასანახია ის სოლოლაკური პლუტოკრატიული „კუდი", რომელიც „აშხატავორს" და „დაშნაკცუტიუნს" უჩანს „სოციალისტური" წამოსასხამის ქვეშ.

დამფუძნებელი კრება

10 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ა. ლომთათიძე.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტებისა: 1) ამიერ კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23 ს დადგენილების შეცვლისა, 2) რესპუბლიკის ყველა სამოქალაქო მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა, 3) გზათა უწყების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა, 4) მათუმ-ნატანების რკინის გზის ნაწილის საჭიროებისათვის 8,110,543 მან. გადადებისა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის 2 მილ. მანეთის გადადებისა.

დ. ონიაშვილის მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ.

ი. სალაყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციისათვის საჭირო მასალების შესაძენათ 24 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

ექვ. თაყაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა პროექტი დადგენილებისა დამოუკიდებლობის ფონდის შექმნისათვის საყოველთაო ხელის მოწერის გამოცხადების შესახებ. ამ დადგენილების ძალით, მთელს რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს ნებაყოფლობითი ხელის მოწერა დამოუკიდებლობის აღსანიშნავად ფონდის შესაქმნელად. ფულები ადგილობრივად უნდა იქნას შეტანილი სახაზინო დაწესებულებებში. პრეზიდიუმი წარუდგენს დამფ. კრებას სათანადო თანხის შეგროვების შემდეგ პროექტს იმისა, თუ რით გამოიხატოს დამოუკიდებლობის აღიარება და მოკავშირეთა მიერ ცნობა: 26 მაისი და 12 იანვარი.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის წევრთა და სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სამსახურის გამო მოგზაურობის დროს დღიური ხარჯის და საგზაო ფულის ნორმის შეცვლის შესახებ. ეს ნორმები შეიცვალა დადგენილი პირობების მიხედვით.

გ. ჟღენტის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზის პენსიონერთათვის დამატებითი პენსიის დანიშვნის შესახებ.

დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციაში

8 თებერვლის სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა აკაკი ჩხენკელი, მის ამხანაგებათ: გ. გიორგაძე და მ. ხოშტარია.

9 თებერვლის სხდომაზე ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით ფრაქციამ დაადგინა: დაარსებულ იქნეს დამფუძნებელ კრებაში სასურსათო კომისია 9 კაცისაგან შემდგარი.

გამოქვეყნდეს სავალდებულო დადგენილება თბილისიდან გადასახლების შესახებ, ხოლო წესი გამოქვეყნდეს მთავრობის თავმჯდომარის.

[illegible] სახელმწიფო საზღვრები არა ქვეშევრდომთათვის. [illegible] წესი მიეცეს მთავრობის თავმჯდომარეს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

11 თებერვალი

ამერიკული ცნობები.

(ლიონის რადიო სადგურიდან).

ლონდონის ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც ბოლშევიკებმა მოსკოვიდან უმავთულო ტელეგრაფით მთელ ქვეყანას გადასცეს, შეუდგენელი არის სხვა და სხვა [illegible] ის პირობას, რომელიც ოსმალეთს ეხება. ამ საბუთის შინაარსი იტალიის და [illegible] გაზეთებისაგან გვეგება. ლონდონის ფარული ხელშეკრულებით ოსმალეთის იმპერია სრულებით უნდა გაქრეს გეოგრაფიულ რუქიდან და აფრიკაში მყოფ გერმანიის ახალშენებს ანაწილებს სრულებით სხვაგვარათ, ვიდრე ეს ვერსალის ხელშეკრულებაში არის. როგორც გვეგება, დიდ ბრიტანეთს ეხლა არ სურს გადასცეს ის დაპირებანი, რომელიც მან იტალიას მისცა ოსმალეთისა და გერმანიის ახალშენების შესახებ, რაზეც დაინტერესებულია იტალია. გვგონია, ეს არის მიზეზი, რომლის გამო დიდი ჯერ-ჯერობით ფარულად დარჩა ის პირობა, რომელიც აწერია [illegible] და ფიუმეს საკითხებს და, რომელსაც საჭიროდ [illegible]. ლონდონის ხელშეკრულების ძალით სირიაში ოსმალეთი უნდა მიიღოს კომპენსაცია. იტალიამ კი—ერთიკიდ გერმანულ ახალშენებში თავისი წილი.

გერმანული პრესის ცნობები.

3 თებერვალს მოკავშირეთა მიერ შედგენილ ნოტაში, რომელიც გასაცემად მოთხოვნილი პირთა სიის თან ახლავს, ასე სწერია: სიაში შეტანილნი არ არის ყველა გერმანელი, რომელიც ომის კანონების დარღვევაში არის დამნაშავე პრაქტიკული მოსაზრებების გამო მოკავშირეებმა შიგ მოათავსეს მხოლოდ ისინი, ვინც ყველაზე უფრო მეტი პასუხისმგებელია იმ დანაშაულთა ჩადენისთვის, თუმცა იმ გერმანელთა რიცხვი, რომლებიც დამნაშავენი არიან სამხედრო კანონებისა და დადგენილებების დარღვევაში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე წარდგენილ პირთა სია. შემდეგ ნოტაში

დღეს

საფრანგეთის მთავრობამ ხარჯთ-აღრიცხვა 48 მილიარდიდან 39 მილიარდამდე შეამცირა. მთავრობამ კომისია დანიშნა, რომელიც თვალყურს ადევნებს პირველ საჭიროების სურსათ სანოვაგის გაძვირებას.

ელჩების კონფერენციამ უარყო ავსტრიისა და გერმანიის შუამდგომლობა საჰაერო მილიციისათვის აეროპლანების დატოვების შესახებ.

ჩეხო-სლოვაკია და პოლონეთი შეთანხმდნენ პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში წითელი ჯარი შრომის არმიად იქნა გადაკეთებული.

ნათქვამია: მოკავშირენი სრულებით არ ფიქრობენ იმას, რომ აპატიონ დანაშაული მათ, ვინც სიაში არ არის შეტანილი, პირიქით, ისინი უფლებას იტოვებენ თავის ტერიტორიაზე სდევნონ დანარჩენი დამნაშავენი. მოკავშირენი ითხოვენ ყველა საბუთს და არხივებში შესვლის უფლებას, რათა გაადვილონ დამნაშავეთა დანაშაულის დამტკიცება.

მოკავშირენი აცნობებენ გერმანიას იმ დამატებითი ნოტის შესახებ, რომელსაც ისინი გაუგზავნიან მას 25 იანვრის შეკითხვაზე. ამ ნოტაში ნაჩვენები იქნება გზა, თუ როგორ უნდა გადასცენ გერმანელებმა მოკავშირეებს დამნაშავენი. მილერანმა 7 თებერვალს მთავრის სახელზე გაგზავნილ წერილში ფონ-ლერსნერის მოქმედებას „პირადი დემონსტრაცია“ უწოდა. ნოტა და სია ჩააბარეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, პოლონეთის, რუმინეთის... (გამოტოვებულია) და სერბეთის მთავრობის სახელით.

უცხოური პრესის ცნობები.

ბერლინში ცხადი იცვან, არა თუ მოთხოვნილ პირთა სახელები, არამედ მიზეზიც, თუ რად სდევნიან მათ. ამის გამოქვეყნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრალდებათა სერიოზულობამ ბერლინი შეაშფოთა. სხვადასხვა აზრთა შორის თანდათან გარკვეული ჩნდება მიმდინარეობა, რომელსაც იქითაკენ მივყავართ, რომ გერმანია ზოგ პირთა მფარველობაზე ხელს აიღებს, უკიდურეს შემთხვევაში, იმ პირთა მფარველობაზე, ვინც დამნაშავეა ხალხის უფლების დარღვევაში, ანდა რომელთა საზიზღარი ძალადობაც აშკარათ არის დამტკიცებული. შემარჯვენე გაზეთები გაბრაზებულნი არიან ანტანტაზე. „ფორვერტსი“ პირიქით, დამნაშავეთ ურჩევს გაიკეთონ ლამაზი ჟესტი და თავისი ნებით გადაეცენ მოკავშირეებს. „გერმანია“, ცენტრის ორგანო, მთავრობას ურჩევს მოლაპარაკება განაგრძოს და ამ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი იპოვოს.

პრაგიდან იუწყებიან: ავსტრია ჩეხო-სლოვაკიის მოლაპარაკება მაგნეზიის, ფოლადის, რეზინის და სხვა დაუმუშავებელ საქონლის შესახებ შეთანხმებით გათავდა.

ვარშავიდან მოსული ცნობით სეიმის საზეიმო სხდომაზე, პოლონეთის მიერ ზღვის ნაპირის დაჭერის გამო, მთავრობა ყრილობას წარუდგენს ვისლის დასავლეთის ზღვარზე ნავთსადგურის გაკეთების პროექტს. სეიმის საზღვაო კომისიამ მიიღო 500,000 მარკა წინასწარი გამოკვლევისა და პროექტების შესადგენათ. პოლონეთის დანარჩენმა პროვინციის სეიმებმა და ქალაქის თვითმმართველობებმა თავის მხრივ გაიღეს რამდენიმე მილიონი ფრანკი პოლონეთის ფლოტის ასაშენებლად.

პრაგიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკია და პოლონეთი შეთანხმდნენ პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებაზე.

7 თებერვალს პარიჟში გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში მოხდა პირველი სხდომა რატიბორის ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ. ეს კომისია შესდგება საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, გერმანიის, იაპონიის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელთაგან.

საზავო კონფერენციის გენერალურმა მდივანმა აზერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარეს აცნობა, იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება, რომლითაც იაპონიის მთავრობა უერთდება ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს აზერბეიჯანის მთავრობის „დე-ფაქტო“ აღიარებაში.

კვირას შესდგა კაბინეტის მნიშვნელოვანი სხდომა. ხარჯთ-აღრიცხვა 48 მილიარდიდან 39-დის შეამცირეს. გადასწყვიტეს დანიშნონ კომისია რომელიც თვალყურს ადევნებს პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგის გაძვირებას, რათა ამ გაძვირებისა და მიხედვით მოხელეებს ჯამაგირი გაუდიდონ

საზავო სხდომაზე ელჩების კონფერენციამ უარყო ავსტრიისა და გერმანიის შუამდგომლობა ჰაეროპლანების დატოვების შესახებ საჰაერო პოლიციისთვის.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. თებ. 10. რევოლუციონური მშრომელთა ომის გამო „პრავდა“ მოწინავე სწერს: ისტორიამ იცოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული არმია, მაგრამ ისტორიამ არ იცოდა მშრომელი არმია. ჩვეული არმია პირდაპირ და არა პირდაპირ ანგრევდა მეურნეობას, მშრომელი არმია კი პირიქით, ფეხზე აყენებს. მშრომელთა არმიის ცნობა ლაპარაკობს არა დაპყრობილ ქალაქებზე, არა ზარბაზნებზე და სხვა,—არამედ შეშით დატვირთვის, გზის გაწმენდის, პურით დატვირთვის რაოდენობაზე, იმაზე, თუ რამდენი ნახშირი ამოითხარა და სხვ. მშრომელი არმიის მიმართ ბრძანებაში ნათქვამია: „დაჩება, მიზიდვა, დატვირთვა, შეკეთება და გაწმენდა. ისტორიაში ამ არაჩვეულებრივ ცდაზე მეურნეობის აღსადგენათ ჩვენ მასას მოვუწოდებთ. მუშათა კლასის ხელი ლუხზე იმყოფება, მანქანები ამუშავებულია.

ბრიანსკი. 9—2. ბრიანსკის სახალხო სამეურნეო საბჭო არსებს პირველ შრომის არმიას, რაზმი შემდგარი იქნება 300 საუკეთესო მუშისაგან, რომელნიც მახლობელ ქარხნებიდან და ფაბრიკიდან არიან წამოყვანილნი.

როსტოვი. 8—2. ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. გამოდის გაზეთი „იზვესტია კომუნისტა“-ი.

ხარკოვი. 7—2. ხარკოვის გუბერნიის ორგანიზაციამ დაადგინა პარტიის გაწმენდა და შეურიგდეს უმცირესობას, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. თებ. 10. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით მტრის გამაგრებული პოზიციის ორი ხაზი დავიჭირეთ. ონეგის რაიონში ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა, ხელში ჩაიგდო ზარბაზანი. სვენსკოეს ტბის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი ველიკოე სელოს აღმოსავლეთით სიმაღლეებიდან გამოდევნა. მტერი უთავბოლოთ გაიქცა, მას უკან დაედევნა ჩვენი ჯარი. კოროსტენის რაიონში ქ. ზარის სამხრეთით და დასავლეთით 40 ვერსზე რკინის გზის ორივე მხარეზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ტირასპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევით ომს აწარმოებს. აქ მტერი მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევს ქვემო დონზე და მანიჩზე მდგომარეობა არ შეცვლილა. სტავროპოლის ჩრდილო აღმოსავლეთით 50 ვერსზე კონსტანტინოვკასთან მტრის ცხენოსნების შემოტევა მოვიგერიეთ.

ხარკოვი. 7—2. როსტოვიდან მოსულნი საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ როსტოვში უკანასკნელ დღეებში თეთრების ყოფნის შესახებ. დამარცხების გამო სტრუვეს „ველიკაია როსსია“ და სუვორინის „ვეჩერნეე ვრემიამ“ გამოსთქვეს აზრი გერმანიის ორიენტაციის სასარგებლოთ. დონის „კრუგის“ დაშლილი სხდომის დროს დენიკინმა შკუროსა და მამონტოვს მძარცველები უწოდა.

სარატოვი. 9—2. შავი-ზღვის ნაპირებზე ანაპა-ტუაპსეს რაიონში 12 ათასი აჯანყებული მოქმედებს. აჯანყებულებს ხელმძღვანელობს ყოფილი პორუჩიკი გობლიჩენკო და ყუბანის რადის ყოფილი თავმჯდომარე მაკარენკო. აჯანყებულებმა აიღეს თემრიუკი და ტამანის ოლქში სტანიცები. აჯანყებულთა მოძრაობა მოეწყო სტავროპოლის გუბერნიაშიც.

აჯანყებულთა მოძრაობა მოეწყო ტავრიჩესკის გუბერნიაშიც. დენიკინის შტაბი ეკატერინოდარშია. მთავრობის დაწესებულებანი ყირიმში გადაიტანეს. ყუბანის საზღვარზე სდგანან დენიკინის ნაწილის რაზმები და უკან დაბრუნებულ დენიკინელებს უშვნენ.

მოსკოვი. 11—2. ტრანსპორტის დაშლამ ქალაქი უპუროთ დასტოვა. მუშებს გაჭირვებულად გადააქვთ ტანჯვა. რევოლიუციის ერთგული, ისინი მზად არიან შექმნან ახალი ცხოვრება, სიმშილის, სიცივისა და სხვა დაბრკოლებათა გადატანით. მაგრამ ღონე მათ ღალატობს. როგორც არ უნდა იყოს გმირობა, რწმენა, მშიერი კუჭი მაინც არ ივიწყებს თავს. ეხლა მუშები შესდგნენ ახალ გზაზე—დაიწყეს თვითონვე ორთქლმავლების, ვაგონების შეკეთება, რომ თვით შემოიტანონ პური. ამგვარათ იქნება ახალი შესწორებული მატარებლები. ტრანსპორტის შეკეთებით მუშები იშოვნიან პურს და გამოიტანენ მას. ეს მოძრაობა მხოლოდ დაიწყო. ყველა ქარხნებმა მეგობრულად უნდა იმუშაონ ტრანსპორტების შესაკეთებლად. გაძლიერებული ხელი სიმშილისა მხოლოდ მაშინ მოსცილდება მუშების კისერს და რუსეთის აღორძინებაც უზრუნველყოფილი იქნება.

მოსკოვი. 9—2. სამხრეთ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ცნობები მოდის, რომ წითელი ჯარის ნაწილები ბრძოლის ფრონტიდან გადადიან უსისხლო ფრონტზე, შრომის ფრონტზე და სამეურნეო ცხოვრებას იწყებენ.

ახალი ამბები

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ჰ. ჰიჰინაძემ შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა საგანგებო რაზმის უფროსს: სადგურ სადახლოზე გაგზავნილ რაზმის თანამშრომლის სახელზე თქვენ მიერ 13 იანვარს № 140 გაგზავნილ ბრძანებით, საქართველოს საზღვრებში აკრძალულია რუსებისა და ებრაელების შემოსვლა საქართველოში, რომელნიც ნახსენებ განკარგულების ძალით, სად. სადახლოზე გადმოყავთ მატარებლებიდან, მიუხედავათ იმისა, რომ მათ აქვთ აზერბეიჯანში ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ კანონიერი წესით მიცემული მოწმობები. ვინაიდან აღნიშნული თქვენი ბრძანება თავისი შინაარსით, რომელიც კრძალავს საქართველოში მოქალაქეთა შემოსვლას მხოლოდ მათი ეროვნების მიხედვით, სრულიად არ შეეფერება სამინისტროს მიერ თქვენდამი მიცემულ დირექტივებს უცხო ელემენტების საქართ. საზღვრებში შემოსვლის შესახებ და აგრეთვე თქვენ მიერ სადგურ სადახლოს საგანგებო რაზმის თანამშრომლისათვის მიცემული წინადადება არ შეეფერება მთავრობის მიერ მიღებულ სისტემას, რომელიც გამოიხატება ერთნაირ კეთილ მოპყრობაში ყველა ერების მიმართ, რომელთაც კანონიერ ფარგლებში შეუძლიათ ესა თუ ის ურთიერთობა იქონიონ რესპუბლიკასთან, მე საჭიროდ ვცნობ გაუქმებულ იქნას თქვენი ბრძანება № 140. გაცნობებთ რა ყველა ზემოხსენებულ ცნობისთვის და სახელმძღვანელოდ, მე შენიშვნას გაძლევთ აღნიშნულ საქმის გამო და შემდეგისათვის გაფრთხილებთ, რომ ასეთი კანონის დარღვევის გამო უფრო სასტიკი პასუხისგება მოგეთხოვებათ და წინადადებას გაძლევთ თქვენი მოქმედება შეუფარდოთ იმ ინსტრუქციებს, რომლებსაც გაძლევთ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მე-9 ათასეულის უფროსი და ოფიცრები აუწყებენ, რომ ქ. ახალციხეში გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი ლეიტენანტი

იოსებ კირილეს-ძე ხუცულაშვილი.

(ფ. 1—1)

◆ **პატიმარი ბოლშევიკების ციხიდან გაქცევის** შესახებ შემდეგი სარწმუნო ცნობები გვაქვს: პარასკევს, თებერვლის 6 ს, საღამოს 6 საათზე საგუბერნიო ციხის (№ 1) საავადმყოფოდან გაიქცნენ ფილიპე მახარაძე, კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე და ა. მახარაძე. გაქცევა მოაწყო საავადმყოფოს ზედამხედველმა ლეკვეიშვილმა, რომელიც პატიმრებთან ერთად მიიმალა. ამ საქმეზე ჯერჯერობით შეპყრობილია 8 კაცი. შეპყრობილია აგრეთვე ლეკვეიშვილის ცოლი, რომელიც ტუსაღების გაქცევის წინა დღით ქუთაისში გაემგზავრა.

◆ **მ. ი. სკობელევის ლექცია.** შაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 5 საათზე მუშტაიდის დემოკ. კლუბში ამხ. მ. სკობელევი წაიკითხავს საზოგადო ლექციას შემდეგ თემაზე: „რუსეთის რევოლიუცია“ წარსული და მომავალი) შესვლა ყველასათვის უფასოა.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.** დღეს, 12 თებერვალს, და ხვალ 13 თებერვალს დილის 12 საათზე ჯარისკაცთათვის და გვარდიელთათვის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“.

◆ **მთავრობაში.** 31 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: დამტკიცებულ იქნას შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება 2 მილიონ მანეთის გადადების შესახებ. მოსალოდნელ პარტახტიან ტიფის ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად.

— ტელეფონის ხარჯებლობის ახალი ნიხრი დამტკიცებულ იქნა 1 თებერვლიდან.

◆ **საგარეო პალატაში.** 9 თებერვალს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში შესდგა მრავალ-რიცხოვანი თათბირი შესახებ ჩვენი ვალიუტის ვითარებისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკისა. პალატის კომიტეტის გარდა დაესწრო ოცამდე მოწვეული მცოდნე პირი. ამ საგნის შესახებ ბ-ნმა ბერიძემ წაიკითხა მოხსენება, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი ბაასი. შესახებ საგარეო ვაჭრობისა კრებამ გაითვალისწინა მეტად მავნე შედეგები სახელმწიფო მონოპოლიის არსებულ ფორმისა და დაადგინა: ვთხოვოთ მთავრობას, რომ მონოპოლია განხორციელდეს საქონლის მწარმოებელთა და პატრონთა საშუალებით. საემისიო ბანკის დაარსების შესახებ კრებამ გადაწყვეტილი აზრი ვერ გამოიტანა. ზოგიერთების აზრით ასეთი ბანკის დაარსება ნაადრევია, რადგან ობიექტური პირობების გამო მას არ ექნება მტკიცე საფუძველი. მომხსენებლისა და მეორეთა აზრით ამ ჟამად შესაძლებელი და აუცილებელია დაარსება საემისიო ბანკისა, რომელიც აწევს ჩვენს ვალიუტას ან შეაჩერებს მაინც მის დაქვეითებას. დასასრულ კრებამ მიანდო პალატის კომიტეტს შედგენა სპეციალისტთა კომისიისა, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლის ამ საკითხს.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის** საოფლო სამეურნეო განყოფილება ფიქრობს თფილისის მიდამოებში მოაწყოს საკუთარი ბოსტანი.

◆ **შემნახველ-გამსესხებელი კასსა** იუსტიციის სამინისტროს თფილისის დაწესებულებათა მოხელეებმა დაარსეს შემნახველ-გამსესხებელი კასსა; რომლის წესდება უკვე მიღებულია საერთო კრების მიერ. თებერვლის 9 საერთო კრებაზე არჩეულ იქნა კასის გამგეობა თანახმათ წესდებისა, კასის წევრები იხდიან ყოველთვიურად საწევრო გადასახადს, რომელიც უდრის თვიურ ჯამაგირის 2 პროცენტს.

◆ **აფთიაქის მოწაფეების საყურადღებოდ** მეცადინეობა თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირთან არსებულ კურსებზე, აფთიაქის მოწაფეებისათვის აფთიაქის თანამშრომლობაზე გამოცდების ჩასაბარებლად, დაიწყება 27 თებერვალს და ყველა მსურველები მეცადინეობის დაწყებისა ამ დროისთვის თფილისში უნდა იყვნენ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს 12 თებერვალს ლექციებს წაიკითხავენ:

1 განყოფილებაში (ნაძალადევი) 1. ვ. ტურიაშვილი—ჰიგიენას; 2) დ. ასათიანი—საფრანგეთის რევოლიუცია.

3 განყოფილებაში (ჩუღურეთი) ს. მესხი—სამშობლოს აღწერა; 2) ვ. ზარნოვი—ქართული მწერლობა;

4 განყოფილებაში (ორთაჭალა) 1 ი. ირემაშვილი—ეკონომიური საკითხები 2) ს. დოლიძე—საქართველოს ისტორია.

ცენტრში (პლეხანოვის ქ. № 123) 3. ალშიბაია—ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი; 2) ი. ანთაძე—საქართველოს ისტორია; 3) ხერ. ქორქოლიანი—ქართული მწერლობის ისტორია:

რუსულად ბაატიანი—კაპიტალი კარლ მარქსისა.

კრებები

დღეს საღ. სრულ 7 ს. ვერის მუშათა კლუბში დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა 5 თებერვლის საზოგადო კრების გაგრძელება, რომელზედაც მოსმენილ იქნება მოხსენება თფილის კომიტეტიდან და მოხდება

კომუნისტების საქმიანობა*)

კარლ კაუცკისა

ბოლშევიზმის გადახალისება.

დასავლეთის წვრილი სოციალისტები გამარჯვებული კილოთი აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ბოლშევიკებმა ასე დიდხანს შეინარჩუნეს ძალა უფლება. იმ დროს, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, ბოლშევიკები არ არიან სავსებით დამარცხებულნი. ბოლშევიკების კრიტიკოსები კი მათი გაბატონების დღიდანვე წინასწარმეტყველებდნენ მის საზოგადო „კრახს“.

ბოლშევიზმის „კრახი“ მალე დადგებოდა, რომ ისინი თავიანთ პროგრამას შეურჩენოდნენ. ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს ძალა-უფლება მხოლოდ იმის წყალობით, რომ თანდათან ხელს იღებდნენ თავიანთ გეგმებიდან და ბოლოს იმის განხორციელებასაც შეუდგნენ, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ. ძალა-უფლების ხელში ჩაგდების გულისათვის მათ დაივიწყეს დემოკრატიული პრინციპები. რომ შეენარჩუნებინათ ძალა-უფლება, მათ დემოკრატიულ პრინციპებთან ერთად, დაივიწყეს სოციალისტური პრინციპებიც. ისინი გამაგრდნენ, როგორც პიროვნებები, რასაც პრინციპი მსხვერპლად შესწირეს და ამით დაამტკიცეს თავიანთი ოპორტუნისტობა.

ბოლშევიზმი დღევანდელამდე იმარჯვებდა რუსეთში, სოციალიზმი კი დამარცხდა იქ.

საჭიროა დაკვირვებით შევხედოთ და გავითვალისწინოთ ის ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელიც დამყარდა ბოლშევიკური რეჟიმის ბატონობის დროს და რაც იყო ნაყოფი ბოლშევიკური მეთოდისა. გავიმეოროთ მოკლეთ ის, რაც ჩვენ ზევით განვმარტეთ:

ჩვენ ვამბობდით, რომ ახლანდელ ბოლშევიკურ რუსეთში გლეხობა გმყარება შეუზღუდველ კერძო საკუთრებას და ხელს ჰკიდებს საქონლის წარმოებას.

გლეხობას არავითარი კავშირი არ აქვს ქალაქის მრეწველობასთან, რადგანაც უკანასკნელი არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ ჰქმნის სოფლისათვის. გლეხებს ნებაყოფლობით ნაკლები სურსათი შემოაქვთ ქალაქში; ამ ნაკლის შევსება ბოლშევიკებმა რეკვიზიციით და ძარცვა გლეჯით მოინდომეს. ფართო ხასიათს ღებულობს ფარული ვაჭრობა, მიეზიდებიან სოფლებში ჩუმათ გადარჩენილ საქონელს და სცვლიან სურსათზე.

მსხვილ მიწათ-მფლობელობის დანგრევის შემდეგ ბოლშევიკებს არაფრის მიცემა არ შეუძლიათ გლეხებისათვის. ის სიმპატია, რომელიც სუფევდა გლეხობაში ბოლშევიზმისადმი, სიძულვილათ გადაიქცა. გლეხებმა შეიძულეს ქალაქის მუშები, რომლებიც არ მუშაობდნენ და არ აწვდიდნენ გლეხებს სამეურნეო იარაღებს. გლეხობას სძულს მთავრობა, რადგანაც უკანასკნელი აგზავნის სოფლებში ჯარისკაცებს სურსათის რეკვიზიციის მოსახდენათ. გლეხობას სძულს ის მეჯახშეები და გვარდიები, რომლებიც ათასგვარი ხრიკებით ხელიდან აცლიან გლეხს ზედმეტ სურსათს.

ამავე დროს სდგება საზოგადოება, რომელიც უწოდებს თავის თავს სოციალისტურს. ამ საზოგადოებას სურს მოისპოს კლასიური განსხვავება. თავისი მოქმედება დაიწყო მით, რომ მოსპო უმაღლესი კლასი. ამ გვარი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ თვით ეს საზოგადოება დაიყო კლასებათ. შესდგა სამი კლასი.

დაბალ კლასში მოქცეული არიან ყოფილი ბურჟუები, კაპიტალისტები, წვრილი მესაკუთრეები, ინტელიგენცია, თუ ის ოპოზიციონურათ არის განწყობილი. ამ დაბალ კლასს არავითარი პოლიტიკური უფლება არ აქვს; საარსებო წყარო მას არ გააჩნია, მის წევრებს ხშირად აუტანელ პირობებში უხდებათ სავალდებულო მუშაობის შესრულება. მუშაობის სასყიდლად მათ ეძლევათ იმდენი მცირედი რაციონი სურსათისა, რომლითაც შეუძლებელია ორგანიზმის მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თუ ოდესმე კაპიტალიზმს შეუქმნია საზიზღარი ფორმა ილოტების,—ეს სწორედ ახლა. ამ ილოტების შექმნა არის ბოლშევიზმის, პირველ ყოფილ ადამიანთა დროის მსგავსი ძალადობა. ეს არის ბოლშევიზმის პირველი დიდი ნაბიჯი, მიმართული კაცობრიობის გასანთავისუფლებლათ. ამ დაბალ კლასზე ზევით, სდგას დაქირავებული პროლეტარიატი, როგორც საშუალო კლასი. კონსტიტუციის თანახმათ მხოლოდ ამ კლასს აქვს ქალაქში საარჩევნო უფლება, პრესის თავისუფლება, კოალიცია. ამ კლასის წევრთ მინიჭებული აქვთ უფლება აირჩიონ საბჭოები; მუშაობა უხდებათ მათ კარგს პირობებში, გასამრჯელოს საკმარისად იღებენ და წარმოების რეგულიატორებიც თვით მუშები არიან, თუმცა ყოველივე ეს უფრო წარსულს ეკუთვნის, რაც ამ ჟამად არ არსებობს. მუშათა მასსა განვითარების ისეთ დაბალ საფეხურზე სდგას, რომ მრეწველობის თანდათანი დაცემა აუცილებელი იყო, რაც იწვევდა მუშათა პირობების გაუარესებასაც. რომ იხსნათ მრეწველობა დაღუპვისაგან, საჭირო შეიქნა ახალ მოხელეთა კლასის შექმნა, რომელიც მუშებს გაუწევდა ხელმძღვანელობას, ქარხნებში მთელ ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებდა და მუშებს მხოლოდ ნასახიღა შერჩებოდათ თავისუფლების. ბუნებრივია ის, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მუშების ნება სურვილების წინააღმდეგ და უკანასკნელნიც უბრძოლველად არ სთმობდნენ თავიანთ პოზიციებს. მით უმეტეს, მრეწველობის საერთო დაცემა, ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა, სოფლის ქალაქისაგან გამოთიშვა, სურსათის ნაკლებობა, აუარესებდა მუშათა მდგომარეობას და მიუხედავად დიდი ხელფასისა, მუშის მდგომარეობა თანდათან უარესში ხდებოდა. ის აღფრთოვანება, რომელიც სუფევდა მუშებში ბოლშევიკებისადმი,—თანდათან ნელდება. გაისმის უკმაყოფილების ხმა, მაგრამ მუშათა ორგანიზაციულად შეუკავშირებელ ოპოზიციას წინ აღუდგა შეკავშირებული, მაგრამ განვითარებული ბიუროკრატია. ამგვარათ თვითმპყრობელმა საბჭოებმა წარმოშვეს თვითმპყრობელობა ახალი ბიუროკრატიისა, რომელიც ხშირათ საბჭოთა წრიდან გამოდიოდა, ანდა მაღლიდან ინიშნებოდა. შეიქნა კლასი თვითმპყრობელობისა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური იდეების ძველი მებრძოლნი.

კვლავ აღსდგა „ჩინების“ აბსოლიუტიზმი, აღსდგა ძველი ბიუროკრატია ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელიც, როგორც დავინახეთ, არაფრით განსხვავდება ძველი ბიუროკრატიისაგან. დამღუპველმა სისტემამ,—ახალმა ბიუროკრატიზმმა—ხელი შეუწყო ახალ კაპიტალიზმის ჩასახვას, რომელიც გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ყოფილი სამრეწველო კაპიტალი. მხოლოდ ერთად ერთი ფეოდალური მიწათმფლობელობა არ აღმოცენდა კვლავ. რუსეთში დიდი ხანია ნიადაგი მზად იყო ფეოდალური მიწათმფლობელობის მოსასპობათ. კაპიტალიზმის მოსასპობისათვის კი ასეთი ნიადაგი არ იყო მზად.

უკანასკნელი კვლავ ზეიმობს თავის მკვდრეთითი აღდგომას, მაგრამ ისეთი ფორმებით აღსდგა, რომ პროლეტარიატისათვის უფრო შემაწუხებელი და შემავიწროებელია, ვიდრე ეს იყო წინათ, განვითარებული სამრეწველო ფორმის მაგიერათ კერძო კაპიტალიზმი იღებს საშინელ ლუმპენ-კაპიტალიზმის ფორმას, რომელიც გამოიხატება ფარულ ვაჭრობაში და ვალიუტის სპეკულიაციაში. სამრეწველო კაპიტალიზმი კერძოდან გადაიქცა სახელმწიფო კაპიტალიზმათ. წინათ სახელმწიფოს ბიუროკრატია და კერძო კაპიტალის ბიუროკრატია ერთმანეთს კრიტიკულად უცქეროდნენ და მტრულ განწყობილებაშიაც იყვნენ.

მუშები იცავდნენ რა თავიანთ უფლებებს, ებრძოდნენ როგორც პირველთ, აგრეთვე მეორეებს. ახლა კი, სახელმწიფო და კაპიტალისტური ბიუროკრატია გადაიქცნენ ერთ მთლიან ორგანიზმათ. ესაა შედეგი დიდი სოციალისტური გადატრიალებისა, რომელიც მოახდინა ბოლშევიზმმა.

ეს არის ყველაზე უარესი დესპოტი, რომელიც კი ახსოვს რუსეთის ისტორიას. დემოკრატიის ბატონობა შეიცვალა მუშათა საბჭოების ბატონობით, რომელსაც უნდა ემსახურნა ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციის მიზნებისათვის, საბჭოების ბატონობა კი გადაიქცა ახალი ბიუროკრატიის ბატონობათ და სიტყვა დემოკრატია გადაიქცა მკვდარ ასოთ. მუშათა კლასი ისეთ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც არცერთ ხანაში მას არ განუცდია. მუშათა კლასმა დაჰკარგა რა თავისუფლება, ცხოვრების პირობებიც ვერ გაიუმჯობესა. ახალი ეკონომიური დიქტატურა, მართალია, გაცილებით უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე მისი წინამორბედი ეკონომიური ანარქია, რომელიც უფრო ჩქარა მიიყვანდა არსებულ მდგომარეობას თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

დიქტატურა აჩანგრძლივებს ამ პროცესის დასასრულს, მაგრამ მაინც არ იფარავს მას დაღუპვისაგან, რადგანაც ახალ ბიუროკრატიას არ ძალუძს მდგომარეობის გამოკეთება. თუ რამდენათ არ არის დამაკმაყოფილებელი ამ დიქტატურის მუშაობა, ეს სჩანს გზათა კომისარის შემდეგი მოწოდებიდან, რომელიც ამას წინად გამოქვეყნებული იყო გაზეთ „პრავდაში“. ეს მოწოდება შემდეგი შინაარსისაა:

1) რკინის გზებზე არსებულმა მართვა-გამგეობის სისტემამ, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული 5 წლის ომის მიერ გამოწვეულ ობიექტიურ პირობებთან, მიგვიყვანა ტრანსპორტის სრულ განადგურებამდე და თითქმის შეჩერება მიმოსვლა.

2) ეს არევ-დარევა აიხსნება არა მარტო იმით, რომ ორგანიზაციის ფორმა და მართვის მეთოდები არ არის სწორი და ზემცირდა შრომის ნაყოფიერება, არამედ—იმითაც, რომ ხშირათ იცვლება ფორმა და მმართველობის ორგანოები.

3) მხოლოდ ენერგიული ზომებით არის შესაძლებელი აღდგენილ იქნას ტრანსპორტი იმ დონემდე, რომ შეგვეძლოს დამშეულ ხალხს მივაწოდოთ სურსათი, და სამრეწველოები უზრუნველყოთ ნედლი და სათბობი მასალით.

4) ამ მხრით მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ, არც ერთი საათი არ უნდა გავატაროთ უქმათ. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუციის ყველა მონაპოვარი დასამარდება.

5) კოლეგიალური მართვა-გამგეობის მაგიერათ, რომელიც ფაქტიურად სრულიად უპასუხისმგებლოა, უნდა გატარდეს პრინციპი პირადი მართველობის, სადაც პასუხისმგებლობით ყველა მუშაკნი, წევრნი კოლეგიისა დაუბრკოლებლივ უნდა ასრულებდნენ ჩემს განკარგულებებს. რეფორმების გატარება უნდა გადაიდოს იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ძველი ტექნიკური აპარატი უნდა აღდგენილ იქნას, რომელსაც მხარი უნდა დაუჭირონ, როგორც ცენტრში, აგრეთვე ლიანდაგებზე. საჭიროა ნარდი მუშაობის შემოღება.

კრასინი ერთი პრაქტიკული, მომზადებული და ნიჭიერი ორგანიზატორთაგანი არის საბჭოთა მთავრობაში. რკინის გზელები მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ. ისინი ცარიზმის დროსაც შეკავშირებული იყვნენ და დიდ ინტელიგენტობასაც იჩენდნენ. და მიუხედავათ ამისა,—ასეთი მდგომარეობა შეიქნა. მოწოდება ცხადად გვაჩვენებს, რომ არსებული კრიტიკული მდგომარეობა მარტო ომიანობით არ არის გამოწვეული, როგორც ამას ხშირათ ამტკიცებენ. ომიანობამ მხოლოდ უფრო გააღრმავა არსებული მდგომარეობა.

პირობების მოუმწიფებლობა „დაღუპვას უქადის რევოლიუციის მონაპოვარს“. რევოლიუციის სახსნელათ საჭიროთ სცნობენ „რეფორმების გაუქმებას და ძველი აპარატის აღდგენას“. ესე იგი, უნდა გაუქმდან რევოლიუციის სისტემა, რომ იხსნან რევოლიუციის მოღვაწეები. რასაკვირველია, ეს დეკრეტი ისევე ნაკლებათ შესცვლის იმ ხალხს, რომლებშიაც ის ცხოვრებაში

---

*) იხ. „ერთობა“ №№ 17, 20, 22, 24, 26, 30.

კოლექტივის, თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული წიგნაკები.

— ხუთშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონულ კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის ახალ წევრთა კრება.

— ხუთშაბათს, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 4 ს. შესდგება ჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე 7-ე რაიონულ კოლექტივისა.

უცხოეთი

რ უ ს ე თ ი.

შავ-ზღვის გუბერნიაში. შავ-ზღვის გუბერნიის გლეხთა განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგს ნათქვამი: საქმე, რაც კომიტეტს ჰქონდა დაკისრებული, ნაწილობრივათ უკვე შესრულებულია. „მოხალისენი" უკვე გარეკილნი არიან სოჭის ოლქიდან. ოლქის მართვა-გამგეობა გადავიდა გლეხთა ყრილობის მიერ არჩეულ განმათავისუფლებელ კომიტეტის ხელში, რომელიც გლეხთა რაზმების საშუალებით შესძლებს დაიცვას თავის ტერიტორიაზე სრული წეს-რიგი, სანამ შავ ზღვის დემოკრატია საბოლოოთ გამოსთქვამდეს თავის ნებას გლეხთა არაჩვეულებრივი ყრილობაზე, რაც ახლო ხანში იქნება მოწვეული სოჭის ოლქში. მცხოვრები ყველა მოქალაქე ვალდებულია მხარი დაუჭიროს კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც წესიერების დაცვისაკენ იქნება მიმართული, და უსიტყვოთ დაემორჩილოს კომიტეტისა და ყველა მის ორგანოების განკარგულებებს.

უცხოეთის ვალუტა. ნოვოროსისკში გულ-მოდგინეთ ეძებენ და ყიდულობენ უცხოეთის ვალუტას. ინგლისური გირვანქა სტერლინგი ფასობს 5—6 200 მან., ფრანკი—220—250 მან. ოსმალურ და იტალიანურ ვალუტას ნაკლებათ ეტანებიან. დიდი მოთხოვნილებაა სერბიის ვალუტისა, ვინაიდან ბევრი ლტოლვილი მიემგზავრება სერბიისაკენ.

ს ო მ ხ ე თ ი

ჰასკელის სიტყვა. „პარიზ"-ში მოთავსებულია პოლკ. ჰასკელის შემდეგი სიტყვა, რომელიც მან 3 თებერვალს ქ. პარიზში ბანკეტზე წარმოუთქვამს: „150 წლის წინად ამერიკაც სწორედ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომელშიაც დღეს სომხეთია და მე ვიცი, თუ რა ძნელია ასეთ პირობებში სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის მტკიცე ნიადაგზე დაყენება. მე ბედნიერი ვარ, რომელიც ყარსში ვარ,—უფრო ფართოთ სომხეთის დედა-ქალაქში. კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნები მაშინ, როდესაც ამ 10 წლის შემდეგ მე ჩამოვხტები სომხეთის ნავთ სადგურში, იქიდან რკინის გზით გავემგზავრები ყარსში,—გაერთიანებულ სომხეთის დედა-ქალაქში და იქ მიმიღებს ხატისიანი, მანისტრ-პრეზიდენტი გაცილებით უფრო დიდი სომხეთისა. შემდეგ ჰასკელი აღნიშნავს რუსეთის სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, როგორც სასიხარულო ფაქტს და იმედს გამოსთქვამს, რომ ოსმალეთის სომხეთიც მალე იქნება აღიარებული და განაგრძობს: ამერიკა სომხეთში არ მოსულა რაიმე ფარული მიზნებით; მას არ აინტერესებს სომხეთის სიმდიდრე, არამედ,—მხოლოდ კაცთ-მოყვარეობის გრძნობა ამოქმედებს. სომხეთში დღეს ამერიკა 400—500 ათას სულ მცხოვრებს არჩენს, თავშესაფარს აძლევს 25,000 ობლებს. ამისთვის საჭირო ფული ხალხის მიერ არის გაღებული. ამერიკელები თანხმობით მუშაობენ სომხეთის მოსამსახურეებთან. სომხეთის ჯარი კეთილსინდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას და იცავს სამშობლოს საზღვრებს. სომხეთის მთავრობა ჩინებულათ აკეთებს თავის საქმეს. ამერიკელები ჩამოვიდნენ სომხეთში და აწარმოებენ უანგარო მუშაობას უკანასკნელის სასარგებლოთ, თუ მანდატი სომხეთზე ამერიკას ერგო, უკანასკნელი ყოველგვარ ზომებს იხმარს, რათა აყვავებული და გაძლიერებული იქნეს სომხეთის რესპუბლიკა. ჩვენ დავეხმარებით სომხეთს,—ამბობს ჰასკელი, მანამდე, სანამ განმტკიცდებოდეს სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, სანამ სომხეთი არ დაიჭერს საპატიო ადგილს ხალხთა ლიგაში. („სლოვო").

ა ვ ს ტ რ ი ა

შიმშილობა. გაზ. „ჩიკაგოს ტრიბუნა"-ს ცნობით ავსტრიაში წარმოუდგენელი შიმშილი მძვინვარებს; იანვრის 20-თვის რესპუბლიკაში თითქმის არავითარი სურსათ-სანოვაგე არ მოიპოვებოდა. სახელმწიფო ვერსაიდან დახმარებას ვერ ღებულობს და 6 მილიონი მცხოვრები, განსაკუთრებით ვენაში და სხვა დიდ ქალაქებში, შიმშილით სიკვდილს მოელის. რენერი, რესპუბლიკის დელეგატი პარიზში, რომელიც განსაკუთრებულ მისიის ხათავეში სდგას და დახმარებას ითხოვს,—აცხადებს, რომ თუ ახლო მომავალში არ გაეწია დახმარება ავსტრიას, მოსალოდნელია მცხოვრებლებმა კაციჭამიობა დაიწყონ. არც ვენაში, არც რომელიმე სხვა დიდ ქალაქში უკვე დიდი ხანია არ მოიპოვება ძაღლები, კატები და, ასე განსინჯეთ, თაგვებიც კი: დამშეულმა ხალხმა უკვე დიდი ხანია შესჭამა ესენი. ქალაქებში დარჩა მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი ცხენებისა, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ქალაქისათვის. შიმშილობას თან ერთვის სიცივე, ვინაიდან არ მოიპოვება სათბობი მასალა. სახლების გასათბობად ხშირად ავეჯეულობას ხმარობენ. რენერის სიტყვით ავსტრიის მდგომარეობა არას დროს არ ყოფილა ისე უნუგეშო, როგორც დღეს.

პროფესიონალურ კავშირებში

თამბაქოს ქარხანაში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

4 თებერვალს შესდგა თამბაქოს ქარხანაში მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობის სხდომა. გამგეობამ მოისმინა მოხსენება „მირო"-ს მუშების შესახებ. შემდეგ ხსენებულ ფაბრიკის აქციონერულ საზოგადოების მომართვა; სადაც საზოგადოება არ არის თანახმა საზღვარ გარეთ გაიტანოს 10,000 ფუთი თამბაქო იმ პირობებში, რომელიც მას წარუყენა შრომის სამინისტრომ. გამგეობამ იქონია რა მსჯელობა ამის შესახებ დაადგინა: ვინაიდან „მირო"-ს ფაბრიკის აქციონერულ საზოგადოებას არ სურს შრომის სამინისტროს მიერ წაყენებულ პირობებში გაიტანოს 10,000 ფუთი თამბაქო, კავშირის გამგეობა სცნობს, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა საზღვარ-გარეთ თამბაქოს გატანისა და იქ თამბაქოს რეალიზაციით შემდგომ თანხით ფაბრიკის გახსნის შესახებ იხსნება და საზოგადოების წინადადებას წარმოების ლიკვიდაციის შესახებ კავშირის გამგეობა ღებულობს შემდეგ პირობებში:

1) სალიკვიდაციო მიეცემა თითოეულ მუშას მათი სამსახურის დროის მიხედვით ფაბრიკა „მირო"-ს დაარსებიდან.

2) ჯამაგირები მუშებმა უნდა მიიღონ სანამ მათ ფაქტიურათ არ დაუსწორდებიან 60 პროცენტიან მომატებით.

ეცნობოს შრომის კომისარს, რათა მან ახლო მომავალში მიუსაჯოს ფაბრიკა „მირო"-ს მუშებს სალიკვიდაციო შემწეობა ნაჩვენები წესით.

მუშების სალიკვიდაციო უზრუნველსაყოფად, გამგეობა მიზან შეწონილათ სცნობს, რომ შრომის კომისარმა დაჭერით დაიკავოს საზოგადოების ხელში დარჩენილი ნედლი თამბაქო.

ამის შემდეგ გამგეობამ მოისმინა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება მოისმინა სეილანოვის ფაბრიკის უმუშევართა საქმე. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა მიზეზით მოხდა, რომ გასულ წლის აგვისტოს ხსენებულ ფაბრიკიდან დათხოვნილი იქნა 190 მუშა-მოსამსახურე. საგამომძიებლო კომისიის აზრით ამ მუშების დათხოვნაში მთავარი დამნაშავე ყოფილა შინაური კომისია. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შემოტანილ იქნა ორი რეზოლიუცია: ერთი—ხელაძის, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ვინაიდან საშინაო კომისიის წევრები არ დგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე და თავის დროზე ვერ შესძლეს ხელი შეეშალათ სეილანოვის ფაბრიკის პატრონის ბოროტ განზრახვისათვის,—ამის გამო დაითხოვოს საშინაო კომისია და არჩეულ იქნას ახალი კავშირის გამგეობის სიით. რაც შეეხება კოცერევს, ჯავადოვსა და მიხაილოვს, დასჯილ იქნენ ისინი, კავშირის უმუშევარ წევრთა სასარგებლოთ ერთი თვის ხელფასის დაკავებით".

მეორე რეზოლიუცია კომისიის: „დაშლილ იქნას მთელი საშინაო კომიტეტი და გამგეობის სიით არჩეულ იქნას ახალი საშინაო კომისიის წევრები; ჯავადოვს მიხაილოვს და კოცუროვს, მათი განსაკუთრებული დანაშაულობისთვის დაისაჯონ ჩვენი კავშირის უმუშევარ წევრთა სასარგებლოდ ორი თვის ხელფასის დაკავებით. პრეზიდიუმს მიენდოს განსაზღვრა, თუ რამდენი პროცენტი გამოუკლდეთ მათ თვიურ ხელფასიდან. ამასთანავე საშინაო კომისიის წევრები უნდა შესდგეს ყველა კავშირის ორგანიზაციიდან, თუ ისინი ითვლებიან ასეთებში წევრებათ".

ფარული ხმის მიცემით მიღებულ იქნა საგამომძიებლო კომისიის წინადადება. ხელაძის წინადადებამ მიიღო 6 ხმა, კომისიისამ კი—9.

რუსეთის რევოლიუცია

მოგონებანი და პერსპექტივები.

(მ. ი. სკობელევის ლექციიდან).

ფრიად საყურადღებო ლექცია წაიკითხა 8 თებერვალს სახელმწიფო თეატრის დარბაზში მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ს. დ. ფრაქციის წევრმა და დროებითი მთავრობის შრომის მინისტრმა,—მ. ი. სკობელევმა, რომელიც პირველ ხანებში ერთ ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო რუსეთის რევოლიუციისა და, მაშასადამე, მოწმე ყველა იმ დამარცხება გამარჯვებისა, რაც რუსეთის მუშათა კლასმა განიცადა რევოლიუციის დროს.

თავისი ლექციის პირველ ნაწილში ლექტორი შეეხო რუსეთის რევოლიუციის ისტორიას მისი დასაწყისიდან და აღნიშნა მთავარი მომენტები, რაც ტონის მიმცემი იყო მთელი რევოლიუციისათვის. საკითხი ომისა და ზავის შესახებ,—აი ის თავსამტვრევი საკითხი, რაც მუდამ აჩრდილივით თან სდევდა ხანგრძლივ ომისაგან არაკაცურ გამოფიტულ რუსეთის ხალხს რევოლიუციის ხანაში, რაც ტრაგედიას, დაუძლეველ წინააღმდეგობას ქმნიდა რევოლიუციის საკითხში რუსეთის დემოკრატიისათვის. საშინაო ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ინტერესები, საერთაშორისო ინტერესები მოითხოვდა რუსეთიდან ფრონტზე დგომას, მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად მოქმედებას; ხოლო დაღლილ დაქანცულ და სასურსათო კრიზისიდან ძალ-ღონე მიხდილ რუსეთს, არ შეეძლო ომის განგრძობა.

ლექტორის სიტყვით, ამას გრძნობდნენ რევოლიუციის მაშინდელი ხელმძღვანელნი—ესერებ მენშევიკები; მაგრამ უკანასკნელნი ცდილობდნენ მოეგვარებინათ სამხედრო პოლიტიკის ცვლა, ცდილობდნენ პატრიოტიზმით ჯარის გაღახალისებას და მისგან მებრძოლ ძალის შექმნას. მაგრამ ცდამ ვერ გამოიღო ნაყოფი; თავდასხმაზე გადასვლის პოლიტიკამ საბოლოოდ ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ რუსეთის ჯარს არ შეეძლო ბრძოლა, რომ იგი მხოლოთ „შინისაკენ", მხოლოთ ზავისაკენ მოისწრაფვის. ბურჟუაზია დუმდა; იგი შეუშინდა პასუხის მგებლობას ზავისთვის, რასაც მოქანცული რუსეთი მოითხოვდა; მან ვერ გაბედა მოკავშირეთა წინაშე ზავისათვის პასუხის მგებლობა აეღო და წინადადება მისცა დემოკრატიის წარმომადგენლებს, სოციალისტებს გაეზიარათ აღნიშნული პასუხისმგებლობა. მაგრამ ვერც უკანასკნელებმა შესძლეს ეს: მათ საკითხი ზავის შესახებ დამფუძნებელ კრების მოწვევას დაუკავშირეს; უკანასკნელი კი ძალზე გვიანდებოდა, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ხალხის სულიერ განწყობილებას.

სწორედ აქ ჰპოვა ნიადაგი ლენინმა. მან ხმა-მაღლა განაცხადა, რომ „იგი მისცემს ხალხს ზავს, იგი მისცემს პურს", რასაც ასე საჭიროებდა რუსეთი.

რევოლიუციის პირველ ხანების ხელმძღვანელებმა დაუშვეს მთავარი შეცდომა,—ამბობს ლექტორი,—ის, რომ დროზე ვერ მისცეს რუსეთის ხალხს ზავი და სწორედ ამ გარემოებამ შეუმზადა ნიადაგი ბოლშევიკების გაბატონებას; ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბოლშევიკებმა ასე უმტკივნეულოთ ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება 17 წლის ოქტომბრის დღეებში. მათ შეჰკრეს ბრესტ ლიტოვსკის ზავი და სიმართლე უნდა ითქვას, ვერავინ მისცემდა რუსეთს ისეთ [illegible] „პოხაბნი" ზავს, როგორიც ეს შესძლეს ბოლშევიკებმა. ყველაფერში შეიძლება ბრალი დავსდოთ ბოლშევიკებს, მაგრამ ისტორია არ განიკითხავს მათ „სამარცხვინო" ზავის შეკვრისათვის!"—განაცხადა ლექტორმა.

შემდეგ ლექტორი შეეხო რუსეთის პრობლემას. იმ სახით, რომელშიაც იგი სდგას დღეს კაცობრიობის წინაშე. ბოლშევიკების მიერ მიღებულ დღიდან მათ მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა და დაასურათა ის პერსპექტივები, რაზედაც, შესაძლებელია, რუსეთის რევოლიუციის შემდეგი ზრდა-განვითარება გამოიხატოს.

ძველათ, როდესაც მეფის რეჟიმის დროს მარქსისტებში მწვავე კამათი არსებობდა პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში,—ლენინი იდეოლოგიით ეთანხმებოდა იმ მიმდინარეობისა, რომელიც პიროვნებას არავითარ როლს არ აკუთვნებდა ისტორიაში. რუსეთის რევოლიუციის დროს კი ჩვენ ლენინის ცხოვრებაში სრულიად წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ: როდესაც ლენინი რუსეთის რევოლიუციის დროს პირველათ ჩამოვიდა რუსეთში და მისალმების დროს კარლო ჩხეიძემ, სხვათა შორის, „უსურვა", რათა მან იმუშაოს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად,—ლენინმა ხაპასუხოთ განაცხადა: „ძირს „შეთანხმების" პოლიტიკა, გაუმარჯოს სოციალურ მთავრობას!" ლენინმა უცხოეთიდანვე ჩამოიტანა თავისი გეგმები; მას მხარს არ უჭერდა მისი პარტიაც კი; მაგრამ მან,—დაუშრეტელ ენერგიის პატრონმა,—შესძლო ცხოვრებისათვის და მოქანცულ-გონება-დაკარგულ მასსის სულისკვეთებისათვის ანგარიშის გაწევით თავისი გეგმა პოპულარული გაეხადა. სოციალისტური იეზუიტი, აბსოლუტურათ დარწმუნებული თავისი დოგმის სისწორეში და განუსაზღვრელათ მოსურნე, რათა თავისი დოგმა განხორციელებულიყო,—ლენინი მოისწრაფვის ძალა უფლებისაკენ, მთავრობისაკენ, რათა ამ გზით შესძლოს ხორცი შეასხას თავისი მოსაზრებებს. და აი მაშინ, როდესაც მენშევიკ-ესერებს გაბმული ჰქონდათ კამათი იმის შესახებ,—კოალიციონური იქნეს მთავრობა, თუ არა,—იგი ამამაღლად აცხადებს: „მომეცით მე ძალა უფლება და ხვალვე დაუხმარებლათ მივცემ ხალხს იმას, რაც მას სურს".

მოქანცული, დამშეული ჯარი და ხალხი გაიტაცა ბოლშევიკების ლოზუნგმა და უმტკივნეულოთ მისცა მათ სახელმწიფო ძალა-უფლება. ბოლშევიკებმა შეკრეს „სამარცხვინო", „პოხაბნი" ზავი; ფრონტი დაიშალა, ჯარი შინ წავიდა.

მაგრამ ამით ბოლშევიკებმა გაითამაშეს „[illegible]", „[illegible]" პოლიტიკა, რის შემდეგ, განსაკუთრებით პურის საკითხის სამწყვეტის ძალდატანებით მათ იწყეს ახალი ჯარის შედგენა. და შექმნეს კიდეც ეს ჯარი. ის, რაც ვერ შევძელით ჩვენ,—ამბობს ლექტორი, შესძლეს ბოლშევიკებმა უმთავრესათ იმიტომ, რომ ადრე აუღეს ალღო მასსის პსიხოლოგიას, დამშეულ ხალხის სულისკვეთებას.

ყველას ჰგონია, რომ ბოლშევიკები ძალა-უფლებას ვერ შეინარჩუნებენ. მაგრამ ისინი უკვე ორი წელიწადია მთავრობაში არიან. რაშია მათი ძალა? ბევრი ფიქრობს, რომ ბოლშევიკების ძალა ტერორში და შტიკებშია. ეს არ არის მართალი: ტერორი სახელმწიფოებრივ იძულების ერთ-ერთი, ყველაზე უფრო უხეში და უკულტურო იარაღია. ცხადია, მარტო ეს იარაღი ვერ იქნება ბატონობის საფუძველი; რომ ეს იარაღი [illegible] იქნეს, [illegible] თვით სახელმწიფოებრივი [illegible]თვის საღი, თვით მთავრობა იქნეს გამაგრებული არა ტერორით, არამედ სხვა უფრო მაგარი სოციალურ—ეკონომიურ კატეგორიებით. და თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლშევიკები სდგანან თავიანთ ადგილზე და იმ პირობების განგრძობით, რომელშიაც იმყოფება დღევანდელი რუსეთი,—ისინი არც ასე მალე გაუშვებენ ხელიდან ძალა-უფლებას,—უნდა ვაღიაროთ, რომ მათ აქვთ განსაკუთრებული სოციალური ბაზა თავიანთი ბატონობისათვის. ეს სოციალური ბაზა რუსეთის მრავალ-რიცხოვანი და შეუგნებელი გლეხობაა.

რატომ უჭერს გლეხობა მხარს ბოლშევიკებს? ნუ თუ ამ გლეხურ მასსას სოციალიზმი ამოქმედებს? ნუ თუ ეს გლეხური მასსა, რომლის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, რუსეთის განუვითარებელ წარმოებისა და მრეწველობის სინამდვილეში ნამდვილათ მიისწრაფვის იქით, რომ ძმობა-ერთობა, სოციალიზმი, კომუნიზმი განხორციელდეს?

ბოლშევიკები დღეს ყველაზე ნაკლებ თავიანთ საკუთარ პოლიტიკას აკეთებენ. ისინი იძულებულნი არიან სოციალიზმის სახელით მხოლოდ ნაციონალური საქმე აკეთონ და განსაკუთრებითაც მუშაობენ ამ მხრივ. რუსეთში დღეს ორი ფრონტია: გარეში და შინაური. ბოლშევიკების ჯარი ებრძვის გარეშე მტერს და ებრძვის აგრეთვე შინაურ მტერს, რომელიც რეაქციაა რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში ბოლშევიკები ნაციონალურ საქმეს აკეთებენ, მეორეში—სოციალურს. ორივე შემთხვევაში გლეხობა, ეს ერთად-ერთი მძლავრი კლასი რუსეთის საზოგადოებისა, ბოლშევიკების მხარეზეა: გლეხობამ ინსტიქტურად იცის, რომ გარეშე მტრის გამარჯვებას მისი ფიზიკური განადგურება, მისი ნაციონალური თვით არსებობის შელახვა მოჰყვება; ხოლო რეაქციის გამარჯვება მიწას წაართმევს მას, გაუქმებს რევოლიუციის მიერ მონაპოვარ დირებულებებს. ამიტომ ხაზგასმით მთავრობასთანაა იგი და სწორედ ამ ნაციონალურ-სოციალური მოტივებშია ჩაქსოვილი ბოლშევიკების დროებითი ძლიერება.

ლექტორი ეხება არსებითად ბოლშევიკების პოლიტიკას და ამბობს, რომ მისი შინაარსი არაფერს სოციალისტურს არ შეიცავს.

ბოლშევიკებმა [illegible] ყველა თავიანთი „სოციალისტური" დეკრეტები და გეგმები; ხოლო ამ „ქაღალდის სოციალიზმის" განხორციელების დროს, ცხოვრება თავისი გზით მიმდინარეობდა. როდესაც ბოლშევიკებმა დასწერეს დეკრეტი მიწების სოციალიზაციის შესახებ,—მიწები უკვე დანაწილებული ჰქონდათ გლეხებს. აქ ცხოვრებაში ტრიალებდა კერძო საკუთრების პრინციპი და ბოლშევიკები უძლურნი არიან აქ რაიმე შესცვალონ. ეს და ბევრი უკანასკნელ ხანებში მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთში დღეს ფეხს იკიდებს ბურჟუაზიული ურთიერთობა. ბოლშევიკები „ბებიები" გახდნენ არა სოციალიზმის, არამედ რუსულ ნაციონალურ ბურჟუაზიის, არც მეტი არც ნაკლები. და როდესაც დღეს კომუნისტები აღმოსავლეთისაკენ იცქირებიან და იქაურ „ჩაგრულ კლასებს" პირდებიან განთავისუფლებას,—ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი აქ სოციალიზმს ახორციელებენ, არამედ ეს ერთი-ერთი გამოხატულებაა იმ ზოოლოგიური ნაციონალიზმისა, რომელსაც ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ; ეს ისეთივე მისწრაფებაა, რაც გერმანიის მებრძოლ იმპერიალიზმის ლოზუნგში—„drang nach Osten!"-ში იყო ჩაქსოვილი.

როგორია პერსპექტივები მოსალოდნელი?

უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლშევიკებს ძირს უთხრიან სწორედ ის სახელმწიფოები, მოკავშირე სახელმწიფოები, რომლებიც თითქოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იბრძვიან და ქმნიან მისთვის გარეშე ფრონტს. ბოლშევიკების ძალა გარეშე ფრონტის არსებობაშია: მებრძოლ ძალის შექმნა რუსეთში გლეხთა მასსის გარეშე შეუძლებელია; ხოლო გარეშე მტრების წინააღმდეგ ეს მასსა ბოლშევიკების მხარეზე არის. შინაურ ფრონტზე კი,—იმ ფრონტზე, სადაც ბოლშევიკები მიჰყოფენ ხელს რუსეთში სოციალიზმის განხორციელებას, მათი მთავარი მოწინააღმდეგე სწორედ, ეს გლეხობა,—ეს წვრილ ბურჟუაზიული მასსა იქნება. ისინი, ვინც მიზნათ ისახავენ ბოლშევიზმის მოსპობას რუსეთში, უფრო ადრე და უმტკივნეულოთ მიაღწევენ მიზანს, რომ [illegible] და სამუდამოთ აიღებდნენ ხელს ბრძოლაზე, რუსეთის საქმეებში ჩარევაზე. რუსეთის ხალხს შეუძლია სთქვას: მომეცით მშვიდობა მე თვითონ გადავჭრი რუსეთის პრობლემათ. გლეხობისა და ბოლშევიკ-კომუნისტებს შორის ინტერესთა აშკარა წინააღმდეგობაა ამას ყველაზე

უნდა გაატარონ, როგორც წინანდელი ლეგიონები.

მსგავსად ძველი კაპიტალიზმისა ეს ახალი კაპიტალიზმიც თავის მესაფლავეებს ხდება. მაგრამ ძველი კაპიტალიზმი ქმნიდა არა მარტო მესაფლავეებს, არამედ—დიდძალ საწარმოო ძალას, რომელიც შეძლებას მისცემდა თავის მესაფლავეებს, მომავლის მაგიერათ ცხოვრების ახალ, უკეთეს ფორმების შექმნისას.

არსებულ პირობებში რუსეთში კომუნიზმს შეუძლიან მხოლოდ საწარმოო ძალების ერთ დონეზე გაყინვა და შეჩერება. მის მესაფლავეებს არ შეუძლიათ ცხოვრების ახალი ფორმების გამონახვა, მათ შეუძლიათ მხოლოდ ცხოვრების ბარბაროსული ფორმების აღდგენა. ასეთი რეჟიმი შესძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ძალადობას და ისეთ ჯარს, რომელიც ზრდის იარაღით გამოადგებათ. ასეთი ჯარის შექმნა შესძლეს ბოლშევიკებმა. მათ განიზრახეს „მომზადებულ სახელმწიფო მანქანის" მისი სამხედრო და ბიუროკრატიულ აპარატთან ერთად დამსხვრევა. მას შემდეგ, რაც ეს ბოლშევიკებმა შეასრულეს, მიხვდნენ, რომ მათი თვითარსებობის ინტერესები მოითხოვს ასეთი აპარატის კვლავ შექმნას. ბოლშევიკების მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებისთანავე, პირველი მათი საზრუნობა გამოიხატებოდა ჯარის გაბრაკვაში, რომელიც შეასრულებს ჯარისკაცთა საბჭოების დახმარებით. საბჭოები თავიანთ შეხედულებისამებრ ნიშნავენ ოფიცრებს ამა თუ იმ თანამდებობაზე და უკანასკნელნი ემორჩილებოდენ ჯარისკაცებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოიპრიანებდენ. ჯარის კაცთა საბჭოები მუშათა საბჭოებთან ერთად ბოლშევიკების პოლიტიკის ალფა და ომეგა იყო. მთელი ძალა-უფლება საბჭოების ხელში უნდა ყოფილიყო, მაგრამ აიღეს რა ძალა-უფლება ხელში ბოლშევიკებმა, სხვა ჰანგზე დაიწყეს მღერა. მათ მოუწოდეს რა მოწინააღმდეგეს ჯარებთან შეტაკება,—დასჭირდათ მოწყობილი, ბრძოლის უნარის მქონე ჯარი, ბოლშევიკებს აღარ სჭირდებოდათ ისეთი ჯარი, რომლის ცალკე ნაწილებიც საკუთრივ აწარმოებდენ თავიანთ ნება სურვილისამებრ ოპერაციებს. ჯარში პირველათ სუფევდა აღფრთოვანება, მაგრამ რა უნდა ექნათ ბოლშევიკებს მაშინ, როდესაც მუშათა აღფრთოვანება შენელდა და ჯარში მოხალისეებს ნაკლებათ და შეხვდებოდით. ამასთანავე ზოგიერთი ჯარის ნაწილები არ ემორჩილებოდენ ბოლშევიკების მიერ შემოღებულ დისციპლინას. დემოკრატიული პრინციპების შემოღება მრეწველობის მმართველობაში მოითხოვს საჭირო მატერიალურს და სულიერ პირობების მომწიფებას. ჯარი კი, რომელიც წარმოადგენს მებრძოლ ძალას, დემოკრატიულ საფუძველზე ვერ აშენდა. ომი ყოველთვის იყო საფლავი დემოკრატიისა. ასეთივე იყო სამოქალაქო ომი დემოკრატიისათვის, თუ იგი დიდხანს გრძელდებოდა. ბოლშევიზმი იწვევს რა სამოქალაქო ომს, ამით თავისდა უნებურად აუქმებს ჯარისკაცთა დეპუტატების მოქმედებას, ბოლშევიკურმა დიქტატურამ ფაქტიურათ გააუქმა საბჭოების ყოველივე ძალა-უფლებები და აღმოფხვრა მასში ყოველგვარი ოპოზიცია. ჯარისკაცთა საბჭოებს კი წაართვეს ყველა მნიშვნელოვანი ფუნქციები და სხვათა შორის, ოფიცერთა არჩევის უფლებაც. როგორც ძველად, ოფიცრებს მთავრობა ნიშნავს. მოხალისეების რიცხვი შემცირდა, ბოლშევიკები ძველ გზას დაუბრუნდნენ და სავალდებულო სამხედრო ბეგარა შემოიღეს. ამან გამოიწვია ახალი კონფლიქტები მცხოვრებთა და მთავრობას შორის, ბევრ ადგილებში გლეხობა უჯანყდება მთავრობას, ის გლეხობა, რომელიც ერთი მთავარი კონტინგენტთაგანია ჯარის. ჯარში დეზერტირობა მასსიური ხასიათს ღებულობს, რომლის წინააღმდეგაც მთავრობა იღებს სასტიკ ზომებს, ხვრეტენ დეზერტირებს და სხვა. გაზ. „ჰუმანიტეს" 29 მაისის 1919 წლის ნომერში მოთავსებული იყო წერილი „კომუნისტური პრინციპები და მისი განხორციელება". წერილი ბოლშევიკებისადმი მეტად მეგობრული კილოთი იყო დაწერილი, რომლის დასასრულსაც შემდეგი ეწერა: „წითელი არმია, ეს პირმშო შვილია ანტანტის. ბოლშევიკურ მთავრობას არაა ერთხელ განუცხადებია, რომ ის ანტი-მილიტარისტია. მშვიდობიანობის მოყვარული რუსის ხალხი, დღეს წინააღმდეგია ომისა, ისევე როგორც წინააღმდეგი იყო იგი გუშინ და ყოველთვის. მობილიზაციას რუსის ხალხი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. წითელ არმიაში დეზერტირობა ისევეა განვითარებული, როგორც იყო მეფის ჯარში. არის შემთხვევები, რომ პოლკი ვერ მიდის დანიშნულ ადგილამდე, რადგანაც გზიდან ჯარისკაცები გარბიან".

მართალიც საკვირველ მანერას იჩენს წითელი არმია, რომელსაც თავის აღტაცებას ბოლშევიზმისადმი დეზერტირობაში გამოხატავს: თუ ჩვენ ანგარიშს გავუწევთ ფაქტებს და არა მის აპოლოგეტურ განმარტებებს, დავინახავთ და დავრწმუნდებით, რომ სამხედრო საქმეშიაც ბოლშევიკები მეფის დროის წესებს დაუბრუნდნენ. სამხედრო საქმე ბოლშევიკების ხელში უფრო ცუდ პირობებში არის ჩაყენებული და უფრო დიდის ენერგიით ვითარდება ჯარში მილიტარისტული სულისკვეთება, მიუხედავად ბოლშევიკების განცხადებისა, რომ ისინი ანტი-მილიტარისტები არიან. აქ მეორდება საფრანგეთის რევოლიუციის ამბები, როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკა ნაპოლეონის იმპერიათ გადაიქცა. მაგრამ ლენინი მაინც ვერ გახდება რუსეთის ნაპოლეონათ. ბონაპარტმა ფრანგების გული მოინადირა იმით, რომ მან შესძლო გამარჯვებული საფრანგეთის დროშა ჩამოეტარებინა მთელს ევროპაში. ზოგს უხაროდა ის, რომ ევროპა დაიპყრეს რევოლიუციონური იდეებით. ბევრს უხაროდა ის, რომ საფრანგეთის ჯარი არბევდა ევროპას და ნადავლით აძლიერებდა საფრანგეთს. რუსეთი კი ძლიერია იმდენათ, რამდენადაც იგი თავს იცავს. როგორც კი გარეშე ძალას ხვდება დიდი დაბრკოლებები შეიჭრას რუსეთის ტერიტორიაზე, ასეთივე დაბრკოლებები უშლის ხელს ბოლშევიკებს შეიჭრან სხვისი ტერიტორიის ფარგლებში. ლენინსაც სურდა, რევოლიუციის დროშით გამარჯვებულს, შემოევლო ევროპა, მაგრამ ამის მისაღწევათ მას არა აქვს შანსები. რევოლიუციონური მილიტარიზმი ბოლშევიკებისა არ გაამდიდრებს რუსეთს, იგი, პირიქით, ხელს უწყობს მის გაღატაკებას. მთელი რუსეთის მრეწველობა მხოლოდ ჯარის საჭიროებას ემსახურება. რუსეთის კომუნიზმი გადაიქცა ყაზარმის სოციალიზმათ. ეკონომიური და მორალური გაკოტრება ბოლშევიკური მეთოდებისა აუცილებელია. ბოლშევიზმის შინაური გაკოტრება შეიძლება ადამიანის თვალით ხედვას გამოჰრჩეს, მაგრამ ბოლშევიზმი სამხედრო ძალის მიერ იქნება განადგურებული. არავითარ მსოფლიო რევოლიუციას არ შეუძლიან დაიფაროს ბოლშევიკური მეთოდები ეკონომიურ გაკოტრებისაგან. ევროპის სოციალიზმის მიზნები კომუნიზმისადმი სულ სხვა უნდა იყოს: მილიტარული კატასტროფა სოციალიზმის განხორციელების განსაზღვრულ მეთოდებისა არ გადაიქცევა სოციალიზმის კატასტროფათ. ევროპის სოციალიზმმა უნდა გაარჩიოს ბოლშევიკური და მარქსისტული მეთოდები და შეაგნებინოს მასსებს ამ ორი მეთოდების განმასხვავებელი თვისებები. ძლიერ ცუდათ ესმით სოციალისტური რევოლიუციის ინტერესები იმ რადიკალურ სოციალისტურ გაზეთებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ემსახურებიან სოციალიზმს, რომელსაც იგივეობას ხედავენ ბოლშევიზმში და სოციალიზმში. ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთში ფრიალებს დროშა მუშათა კლასის ძალა-უფლების და სოციალიზმისა, ჰგონიათ, რომ სინამდვილეში ეს ნიშნავს სოციალიზმის განხორციელებას.

(შემდეგი იქნება)

ჭირვებით თვით ლენინი გრძნობს. ლენინმა იცის, რომ თუ მოისპობა გარეშე ფრონტი, თუ მოხდება გარეშე მტრულ ძალების ლიკვიდაცია, მაშინ დაიწყება ბოლშევიზმის თანდათანობითი და უეჭველი ლიკვიდაცია, მოხდება ლიკვიდაცია ყოველგვარ კომუნისტურ უტოპიებისა. ასეთი შიში, სხვათა შორის, ლენინმა სრულიად რუსეთის „სოვნარხოზების" უკანასკნელ ყრილობაზე გამოსთქვა.

მიუხედავათ ბოლშევიკების მთელ კომუნისტურ მუშაობისა, რუსეთის რევოლუციამ მხოლოდ ის წარმოშვა, რის წარმოშობაც შეეძლო მისი სინამდვილის ობიექტურ პირობებს. ამ მხრივ იწყებს სვლას რუსეთის რევოლუცია, როდესაც რუსეთის პრობლემის გადაწყვეტა თვით რუსეთის ხალხს მიენდობა. შესაძლებელია რუსეთში განმტკიცდეს დემოკრატიული წესწყობილება, გაბატონდეს პოლიტიკური დემოკრატია, კომუნისტებიც, შეიძლება დაუბრუნდნენ იმ სოციალდემოკრატიულ გზას, რომლითაც დაიწყო სვლა და უნდა ევლო რუსეთის რევოლუციას.

ამრიგად, შეიძლება, ბოლშევიკებმა გამოიჩინონ პოლიტიკური „მოქნილობის" უნარი, როგორც ეს არა ერთხელ გამოაჩინეს თავიანთ მოქმედების დროს. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი იძულებულნი იქნებიან საბოლოოდ უკუაგდონ „კომუნიზმის" ნიღაბი და სხვა სახელი დაირქვან. ბოლშევიკების პოლიტიკას გარეშე ძალთა განწყობილების მიხედვით ამ უკანასკნელ დროს უკვე ეტყობა ამ მხრივ გადახრა. მათ უკვე საბოლოოდ დასტოვეს ილუზიები საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციის შესახებ; დღეს ამაზე ისინი უკვე არ ამყარებენ იმედებს. სამაგიეროთ ისინი მიმართავენ უცხოეთის კაპიტალს და მას რუსეთში კონცესიებს სთავაზობენ, ე. ი. ისინი აკეთებენ წმინდა ბურჟუაზიულ საქმეს, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს „კომუნისტების" ლოზუნგებთან.

ამგვარად რუსეთი უნდა გაჯანსაღდეს და იგი გაჯანსაღდება. ეს დიდმნიშვნელოვან როლის თამაშს შეუძლია განაპირა ქვეყნებს, რომლებმაც მოიპოვეს თავისუფლებები და განამტკიცეს ადგილობრივად ეს მონაპოვარი. ამ ქვეყნებში ბოლშევიზმს არა აქვს ნიადაგი. შესაძლებელია სწორედ ამ ქვეყნების დახმარებით მოხდეს რუსეთის განახლება, გაჯანსაღება; და თუ ეს გაჯანსაღება მოხდა, თუ აღსდგა რუსეთი და იგი უნდა აღსდგეს,—ის არ იქნება კომუნისტური რუსეთი.

ამ მხრივ შესაძლებელია უპირველესი როლი საქართველოს რესპუბლიკამ ითამაშოს. საქართველოში ყველაზე უფრო მომწიფებული დემოკრატიაა; მისი ხელმძღვანელების სწორი პოლიტიკის მეოხებით მან შესძლო განემტკიცებინა თავის საზღვრებში დემოკრატიზმი. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი დაწინაურებულია, მას უნდა ახსოვდეს თავის „წარმოშობა" („первородство") და, შესაძლებელია, მან პირველმა განაცხადოს ქვეყნის წინაშე: „მიეცით საშუალება იცხოვროს რუსეთმა თავისთვის, ნუ ჩაერევით მის შინაურ საქმეებში! და როდესაც ეს მოხდება, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რუსეთი იმავე გზით წავა, რომელ გზითაც წავიდა და მიდის საქართველოს დემოკრატია.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

მე 5 ათასეულში.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ჯარში კულტურულ მუშაობის წარმოებას და უნდა ითქვას, რომ ეს სასიხარულო მოვლენა თავის ნაყოფს იღებს კიდეც.

ჯარისკაცები იგებენ, რომ მათთვისაც ზრუნავენ, მათ სწამთ, რომ ახალი მოვლენა ნაყოფია დემოკრატიულ რესპუბლიკის წყობილებისა და აღტაცებაში მოდიან.

7 თებერვალს მე 5 ათასეულში გამართეს პირველი წარმოდგენა. ჯარისკაცები სიხარულით ელოდნენ ფარდის ახსნას. სცენაზე გამოდის პოლკოვნიკი არეშიძე, ის უხსნის ჯარისკაცებს მათ მოვალეობას, თეატრის მნიშვნელობას და სხვ. თავის შინაარსიან სიტყვას ის ათავებს შემდეგი შეძახილით: „გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, გაუმარჯოს ჯარს", ჯარისკაცები „გაუმარჯოს" და „ვაშას" ძახილით უპასუხებენ. ამ დროს მოისმის გრიალნელი ჰიმნი.

შემდეგ წარმოადგინეს ვოდევილი „ორი მშიერი", მონაწილეობას იღებდა ამავე ათასეულის ჯარისკაცები, ზაბაკა მგალობლიშვილი, ჰეჰიაძე და ფერაძეშვილი, ანტრაქტებში უკრავდა მუსიკა ამავე ათასეულისა. მეორეთ წარმოდგენილ იქნა ვოდევილი „ტიმოთეს ლეკვი". ღებულობდნენ მონაწილეობას იგივე ჯარისკაცები; წარმოდგენა ხალისით ჩატარდა. სასაცილო იყო ტიმოთე (ზაბაკა მგალობლიშვილი), რომელმაც დამსწრე ჯარისკაცები ბევრი აცინა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიაც დაიდგმება ასეთი წარმოდგენები.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქნა ლექსები შიშინაძის, ზაბაკა მგალობლიშვილის მიერ „პირველი კოცნა" და „მხედარი". ჯარისკაცმა მაკაკურმა წაიკითხა სცენები კინტოს ცხოვრებიდან. იმღერეს ჯარისკაცებმა ფერეს ლეიტენანტ ხირსელის ლოტბარობით. გაიმართა ცეკვა-თამაში. ქართულ ხალხურ სიმღერაზე იცეკვა ქართველი გლეხის ტანისამოსში გამოწყობილმა ჯარისკაცმა, იმერულში—იმერლებმა. ჯარისკაცები დიდი კმაყოფილი დაიშალნენ თავიანთ ბუნდებში. ყველას სახეზე კმაყოფილება იხატებოდა და იგონებდნენ სცენაზე ნათქვამ სიტყვებს.

სასურველი იქნება, რომ წარმოდგენის წინ ბ. ქორქალიანი თავის მოხსენებებს ხშირათ წაიკითხავდეს,

ილ. ფიქრიანიძე.

გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი.

7 თებერვალს შესდგა სხდომა დივიზიონის კულტურულ-განმანათლებელ ბიუროსი. სხდომას დაესწრო მთავარი შტაბის წევრი და კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების გამგე ამხ. ანანია სალუქვაძე.

მან ხაზგასმით შორის აღნიშნა, რომ წინათ ჩვენ მოკლებული ვიყავით საშუალებას განგვეხორციელებინა კულტურული მუშაობა გვარდიაში, ვინაიდან რესპუბლიკას ყოველის მხრით მტერი ადგა და ამის გამო გვარდიელებს სხვადასხვა ფრონტზე უხდებოდათ ყოფნა, ეხლა კი შეგვიძლია ამ მხრით მუშაობა და ამიტომ თქვენ ყველამ უნდა შეუდგეთ საქმის მოგვარებას. თავის მხრით ამხ. სალუქვაძემ ყოველივე დახმარება აღუთქვა ბიუროს,—როგორც წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით, აგრეთვე ფულითაც, და წინადადება მისცა აერჩიათ ბიუროს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი და მოლარე. ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გვარდიის ოფიცერი მუშნი დადიანი, მის ამხანაგად გვარდ. მათე ხვიჩია, მდივნად გვარდ. გრიგოლ კუნჭულია და მოლარეთ გვარდიელი გელაშვილი. ბიურო მხნეთ შეუდგა მუშაობას დივიზიონში. მან უკვე გამონახა ბინა სამკითხველოსთვის, რაც ამ დღეებში იქნება მოწყობილი და გახსნილი. აგრეთვე ბიურო იღებს ყოველივე ზომას, სხვა კულტურულ დაწესებულებათა დასაფუძნებლათ დივიზიონში და განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გახსნას წერა-კითხვის შესასწავლი კურსები იმ გვარდიელთათვის, რომლებმაც არ იციან წერა კითხვა.

გურული გვარდიელი.

ს.-დ. პარტიაში

ს. მეჯვრისხევი (გორის მაზრა) 11 დეკემბერს შესდგა მეჯვრისხევის თემის ს. ს. დ. მ. პ. შეერთებული კრება; დაესწრნენ: თფილისის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ს. თევზაძე, გორის კომიტეტის წევრი ამხ. შ. ჯავახიშვილი და გორის მაზრაში პასუხისმგებელი პროპაგანდისტი ამხ. ქვათაძე.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. შ. ჯავახიშვილი, მდივნობდა ამხ. შ. მგერიანიძე.

კრების საგანს შეადგენდა: 1) უთანხმოების მოწესრიგება მეჯვრისხევის ორგანიზაციაში, 2) რეორგანიზაცია კოლექტივისა.

ვინაიდან ზოგიერთ განაწყენმა ამხანაგებმა განაცხადეს კრების წინაშე, რომ პარტიაში უთანხმოება არსებულ უთანხმოების მიზეზი არის ი. რუხაძე და გ. უმეკაშვილი, კრებამ მსჯელობისა და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დაადგინა: ამორჩეულ იქნას სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელთაც ევალებათ ამხ. ი. რუხაძის და გ. უმეკაშვილის შორის უთანხმოების გამორკვევა. კომისიაში ამხ. რუხაძის მხრივ დასახელებულ იქნა შ. ჯავახიშვილი, უმეკაშვილის მხრივ კი ამხ. დ. მღებრიშვილი, თავმჯდომარეთ ამხ. ს. თევზაძე. კომისიამ მსჯელობის შემდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ამხ. ი. რუხაძის შესახებ მის მიერ წამოყენებული ბრალდებებიდან—იგი სრულებით გამართლდა.

გ. უმეკაშვილს ეპატიება ის ხარჯი, რაიც მიიღო მეჯვრისხევის ორგანიზაციიდან და მიღებულ იქნას სრულუფლებიან წევრად ს. ს. დ. მ. პარტიისა, მხოლოდ ერთი პირობით: დასტოვოს უნდა მეჯვრისხევის ორგანიზაციაში მუშაობა და სხვაგან გადავიდეს. ვანო ცაცხლაძე და გასო ყურაშვილი მათი მოქმედების გამო დატოვებულ იქნენ ს. ს. დ. მ. პარტიის გარეშე. დასასრულ მოხდა არჩევნები კოლექტივის წევრებისა. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ წევრებად: გიორგი ოქრუაშვილი, გ. მელაძე, გ. მთიულიშვილი, მიტრო მამათაძე, შ. ანუკიძე, გ. ხარაბული, დუსა ხახუტაშვილი და ქალთა წრიდან—კ. დარჩიაშვილისა. კანდიდატებად: შ. ბერიანიძე, ს. აბალიდაშვილი, ნ. ჩუბინიშვილი, დ. მღებრიშვილი და შ. სამნიაშვილი. სარევიზიო კომისიაში: გ. წიფურია, დ. ბიბილაშვილი და ვ. ბეჟაშვილი.

მუშათა შორის

საქართველოს ლაშქრის მთავარი საინჟინერო საწყობი. ხშირად გაზეთებში იწერება ამა თუ იმ ცენტრიდან დაშორებულ კუთხეების ჩამორჩენილობაზედ და უყურადღებობაზედ. მე ზოგჯერ არც კი მჯეროდა და ვერ წარმომედგინა ისეთი კუთხე ეხლა საქართველოში, სადაც არ არსებობდეს რაიმე კულტურული ან პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ ექვს ამა თებერვალს მე ამაში სავსებით დავრწმუნდი, რა რომ გავეცანი თფილისში არსებულ საქართველოს ლაშქრის მთავარ საინჟინერო საწყობის მუშათა ვითარებას. ამ საწყობში მუშაობენ 70 კაცამდე დაქირავებულნი პირები და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დღემდე მათ არ იცოდნენ, რომ არსებობენ სხვადასხვა დარგის მუშათა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები. მიზეზი ასეთი ჩამორჩენილობისა შეიძლება ითქვას, ყოფილა ის, რომ უმრავლესობას აქაური მუშებისა შეადგენენ აისორები, რომლებსაც მცირე გამონაკლისით, არ ესმით ქართული და არც რუსული ენები. ამ მოკლე დროს იქ შესულან სამსახურში რამოდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდობაც და აი, ამათი ინიციატივით აქაური მუშებში ჩაინერგა სურვილი შექმნა ადგილობრივ ორგანიზაციისა და შემდეგ ჩაწერა რომელიმე პროფეს. კავშირში. ამ მიზნის განსახორციელებლათ მათ მიმართეს მეზობელ საარტილერიო საწყობის ორგანიზაციას და ამათი დახმარებით 6 თებერვალს ადგილობრივ შესდგა საზოგადო პირველი კრება, სადაც მოწვეულ იქნა კავშირთა საბჭოს ინსტრუქტორი ამხ. ლოცაბიძე. კრებას დაესწრნენ აგრეთვე რამდენიმე ამხანაგები საარტილერიო საწყობიდან და არსენალიდან. ამხ. ლოცაბიძემ განუმარტა კრებას მნიშვნელობა მუშათა ორგანიზაციებისა და მოუწოდა მათ, რომ შეექმნათ საქარხნო კომიტეტი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: ვინაიდან ადგილობრივ მომუშავე ძალები მცირე არის, ამიტომ შეუერთდნენ მახლობელ ორგანიზაციას, თფილისის საარტილერიო საწყობის კომიტეტს და ამ რიგათ, ეცადონ მოაგვარონ საქმეები. საარტილერიო საწყობის კომიტეტში გასაგზავნათ არჩეულ იქმნა ამხ. ზალდასტანოვი, ადგილობრივ მუშაობის გასაძღოლათ კი არჩეულ იქნენ ოთხი ამხანაგები, რომელთა შორის ორი ამხ. აისორებიდან არიან.

გულითადათ მიულოცავ ამხ. მუშა-მოსამსახურეებს მუშათა ოჯახში შესვლას. ახლათ არჩეულ კომიტეტს კი ვუსურვებ მხნეს და ნაყოფიერ მუშაობას.

ა. ჩოლოყაშ-პარელი.

პროვინციაში

ყაჩაღთა ბრბოს დარბევა თელავის მაზრაში.

ეს ერთი წელიწადია, რაც თელავის მაზრაში 9 კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო დათარეშობს. ამ ბრბოს წყალობით მთელ მაზრას შიშის ზარი ქონდა დაცემული. ადმინისტრაციის მიერ მიღებული ღონისძიებანი უშედეგოთ რჩებოდნენ და ან რა უნდა გაეწყო ადმინისტრაციას იქ, სადაც ყაჩაღებს მცხოვრებლები აქტიურ დახმარებას უწევდნენ? ყველა დიდ სოფლებში ყაჩაღებს საფუძვლიანი აგენტურა ქონდათ მოწყობილი. ადმინისტრაციის თითოეული ნაბიჯი ყაჩაღებმა დაწვრილებით იცოდნენ. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ან შეძლებული პირი არ გაეტაცნათ ტყეში, ან ვისმე არ დაცემოდნენ და სხვა. ყაჩაღები ისე გათავხედდნენ, რომ აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ადმინისტრაციას. დაიწყეს ხოცვა მილიციონერების და რაიონის კომისრების. განგებ, ადმინისტრაციის მიზნით ცარცვავდნენ სათემო თვითმართველობის გამგეობის წევრებს. ყაჩაღების აგენტები აშკარათ მოქმედებდნენ, რადგან ადმინისტრატიული სასჯელი მათ სრულებითაც არ აშინებდათ. და მართლაც, რისი უნდა შეშინებოდათ აგენტებს, როდესაც წინათვე იცოდნენ, რომ უდიდესი სასჯელი, რომელიც მათ ადმინისტრაციიდან მოელოდათ—ეს სამი თვე ციხე იყო. აგენტის ოჯახი მისი ციხეში ყოფნის დროს ყაჩაღებიდან ერთგვარ დახმარებას ღებულობდა. ასეთი დახმარება უკანასკნელ დროს 3000 მანეთიდან 4000 მანეთამდე ადიოდა. აშკარა გახდა, რომ საქმეში სახალხო გვარდია უნდა ჩარეულიყო და მართლაც, ამ ერთი თვის წინათ თელავის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბმა ყაჩაღებთან ბრძოლა დღიურ წესრიგში დასვა. მაგრამ ყაჩაღებთან ბრძოლამ საოლქო შტაბს მეორე კითხვა წამოუყენა. ეს კითხვა ის იყო, რომ იმ რაიონებში, სადაც ყაჩაღები დათარეშობდნენ, პირველად ყოვლისა შტაბს სახალხო გვარდიელთა რაზმები მოეწყო. ასეთ რაიონებათ ითვლებოდენ წინანდლის და ყვარლის რაიონები. არც წინანდლის და არც ყვარლის რაიონებში წარსული წლის შემოდგომამდე არც ერთი გვარდიელი არ ყოფილა. პირველად სახალხო გვარდიელების ორგანიზაცია წინანდლის რაიონში მოეწყო და ყაჩაღებიც, რომელთაც ბუდეთ წინანდალი ითვლებოდა, წინანდლის რაიონიდან გაქრნენ და თარეში ყვარლის რაიონში იწყეს. ყვარლის რაიონიდან აწყობდნენ ყაჩაღები რაიონებზე თავდასხმას. დეკემბერში თელავის საოლქო შტაბმა ყვარლის რაიონშიაც მოაწყო გვარდიელთა რაზმი. როდესაც ეს ორგანიზაციული მუშაობა დაათავა საოლქო შტაბმა, მილიციასთან ერთად იწყო უკვე აქტიური მოქმედება. გვარდიელების წყალობით მოკლულ იქნა ყვარელში ყაჩაღი დათა ხმიადაშვილი. 23 იანვარს ს. ენისელში ყაჩაღები თავს დაესხნენ იქაურ მცხოვრებლს ხოსიტაშვილს. ყაჩაღებმა მოკლეს ენისელის თემის მილიციონერი და გაიქცნენ. ეს ამბავი ტელეფონების საშუალებით ელვის სისწრაფით მიეწოდა ყვარლის რაიონს. რამოდენიმე წამის განმავლობაში საბუისა და ყვარლის გვარდია ფეხზე დადგა და მიუხედავათ იმისა, რომ ყვარლის გვარდია ენისელზე 14 ვერსით იყო დაშორებული, ყაჩაღებს უკან დაედევნა და 30 ვერსზე ყაჩაღთა მეთაურს ჩეკურიშვილს წამოეწია და რამდენიმე საათის სროლის შემდეგ მოჰკლა. მაგრამ აშკარა იყო, რომ ჩეკურიშვილის სიკვდილით საქმე დათავებული არ ჩაითვლებოდა და საჭირო იყო კიდევ რამდენიმე ყაჩაღის ხელში ჩაგდება, რომ ყაჩაღთა ბრბო ლიკვიდირებულიყო. ამ მიზნით თელავის საოლქო შტაბმა 1 თებერვლისთვის ფეხზე დააყენა მთელი მაზრის გვარდია, რომელსაც ებრძანა ყველა მოსაქონლეთა ბინების დაჭერა და გამოყვანილ იქნა სამაზრო მილიცია. 1 თებერვალს მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწემ ნიტროშვილმა ცნობა მიიღო, რომ ს. ნაფარეულში ერთის შეძლებულ კაცის ოჯახში ქეიფობს 3 ყაჩაღი. ღამის 9 საათზე მილიციამ ხსენებულ სახლს ალყა შემოარტყა. მაგრამ ყაჩაღებს ამ დროს ქეიფი გაეთავებინათ და იქვე სამძლში შესულიყვნენ დასაძინებლად. ყაჩაღებმა ისარგებლეს სიბნელით და სამძლიდან გამოცვივდნენ, მაგრამ ერთი მათგანი მძიმეთ დაჭრეს მილიციონერებმა და იქვე დაეცა. დაჭრილი ყაჩაღი აღმოჩნდა ცნობილი ყაჩაღი ტიტია ხმიადაშვილი. ხმიადაშვილს თან აღმოაჩნდა ბოლშევიკებისაგან მიწერილი წერილი, რაშიდაც ხმიადაშვილს სწერენ, რომ ფოთში სროლა არის, ამ დღეებში ჩამოაგდებენ ჟორდანიას მთავრობას და ბოლშევიკური მთავრობა შესდგება, რომელიც მათ (ყაჩაღებს) თავისუფალ ცხოვრებას მიანიჭებს. ხმიადაშვილი შეიარაღებული იყო კარაბინით, ნაგანით და ბომბით. ხმიადაშვილი მეორე დღეს გარდაიცვალა ჭრილობით. ამავე დღეს ღამით დაიჭირეს ყვარელში ყაჩაღი თედო წიწერიაშვილი, რომელმაც გულახდილათ აღიარა, თუ ვინ გამარცვა, ვინ მოჰკლა და ვინ იყვნენ მისი ამხანაგები. ყაჩაღების განცხადებით მცხოვრებლები მათ ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადაჰყავდათ და მთელი კვირაობით ქეიფობდნენ ხან ერთსა და ხან მეორე სოფელში.

არჩილა ჩეკურიშვილის, დათა ხმიადაშვილის, თედო წიწერიაშვილის და ტიტია ხმიადაშვილის დახოცვით თელავის მაზრაში ყაჩაღთა მოთარეშე ბრბო ლიკვიდირებულია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თელავის მაზრა უზრუნველყოფილია ყაჩაღების თარეშისაგან. საჭიროა არის სასტიკი ყურადღება მიექცეს იმ ოჯახებს, რომელიც ყაჩაღებს ფარავდნენ და ინახავდნენ.

ერთი გვარდიელთაგანი.

აკაკი ჩხენკელი გურიაში.

31 იანვარს, სრულიად მოულოდნელათ, სამაზრო ერობამ მიიღო სად. ნატანებიდან ცნობა, რომ ოზურგეთში მოდიოდა აკაკი ჩხენკელი. მაშინვე გადაეცა ცნობა ქალაქისა და ახლო-მახლო თემების მცხოვრებთ; საღამოს დიდძალი ხალხი შეგროვდა თეატრის დარბაზში, რომელმაც ნახევარიც ვერ დაიტია. 7 საათზე ერობის თავმჯდომარემ ბ-ნმა პეტრიშვილმა შეკრებილ ხალხს აუწყა აკაკი ჩხენკელის მოსვლა. სცენაზე გამოჩნდა თვით ჩხენკელიც, ხალხში გაისმა ვაშა და ძლიერი, დაუსრულებელი ტაში, რომელიც ოვაციათ გადაიქცა. მოხსენებამ გასტანა 3 ს. და 7 წუთს. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზებს, მის ტრაგიკულ მდგომარეობას ამ ორი წლის წინათ, გააცნო ხალხს მისი და აგრეთვე საქართველოს დელეგაციის მუშაობა პარიზში ოფიციალურ მთავრობისა და ინტერნაციონალ და სოციალისტურ კონფერენციაზე, მოიყვანა ცნობები ევროპის დღევანდელი მდგომარეობისა და დაახასიათა სახელმწიფოს სოციალისტური პარტიების მუშაობა-ტაქტიკის შესახებ, შეეხო რუსეთის ბოლშევიზმს, გამოსთქვა თავისი აზრი საქართველოს აწმყოსა და მომავალზე და დაათავა სამაჰმადიანო საქართველოსა და აგრეთვე ლაზისტანის საკითხით, რომელთა შესახებ მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ ადრე თუ გვიან საქართველოს შემოუერთდებიანო. ხალხი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა მომხსენებელს, დროგამოშვებით სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ მქუხარე ტაში, რომელსაც იწვევდა მოხსენების ზოგიერთი ადგილები. ღამის 11 საათზე ნასიამოვნები ხალხი ვაშას ძახილით დაიშალა.

მეორე დღეს აკაკი ერობის თავმჯდომარის თანხლებით ეწვია დ. ჩოხატაურს, სადაც მას მრავალ რიცხოვანი მიტინგი დახვდა. მისვლისას ჩხენკელს შეხვდა გვარდიის საპატიო ყარაული, რომელმაც იარაღით სალამი მისცა მას და ვაშას ძახილით მიაცილა მიტინგის ადგილამდე. აქაც ბ. ჩხენკელმა დიდხანს ილაპარაკა და დაწვრილებით გააცნო ხალხს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი.

უკან დაბრუნებისას ბ-ნ ჩხენკელს დ. ნაგომარში მრავალ-რიცხოვანი მიტინგი დახვდა; ხალხს, რა გაეგო მისი ზევით გავლა, ახლო-მახლო თემებიდან თავი მოეყარა, რომ უკან დაბრუნებისას მოესმინა მისი სიტყვა. აკაკიმ აქაც ილაპარაკა და საღამოს 7 საათზე დაბრუნდა ოზურგეთში, საიდანაც მაშინვე გაემგზავრა თფილისში.

ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა ჩხენკელის ჩამოსვლით; ხალხს ის უყვარს, თავის ჩხენკელად სთვლის, სიამოვნებით ისმენს მის [illegible] სიტყვებს, მაგრამ ერთი ჩამოსვლა და ისიც სრულიად მოულოდნელად მხოლოდ ოზურგეთსა და ჩოხატაურში, მას ვერ აკმაყოფილებს... კარგი იქნება, რომ შემდეგშიაც მოიცალოს, როგორც ბ. აკაკი ჩხენკელი, ისე სხვა ხელმძღვანელებმა და დროგამოშვებით ეწვევოდნენ გურიას.

ქუთაისის წყალსადენი.

ამას წინათ ქუთაისში ჩამოვიდა გერმანიიდან მთავრობისაგან გაგზავნილი ინჟინერი ყაუხჩიშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისაგან წყალსადენისათვის საჭირო მასალის შესაძენათ ცნობების შეკრება. ყაუხჩიშვილმა მოხსენება გაუკეთა ქალაქის საბჭოს და აცნობა, რომ გერმანელი ფირმის „ტრიტონის" საშუალებით შეიძლება ქუთაისში მოეწყოს წყალსადენი. იქ მზათ არის ამისთვის საჭირო მასალა და თვით ფირმაც შესაძლებლათ სთვლის ამ საქმის თავის-თავზე აღებას. ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე გამოიტანა დადგენილება დაუყოვნებლივ შეუდგეს გამგეობა ამ საქმეზე ზრუნვას, რისთვისაც თფილისში გაიგზავნოს ქალ. თავის ამხანაგი ს. რაზმაძე, რომელმაც მოიწვიოს ქალაქთა კავშირის საშუალებით სპეციალისტთა თათბირი და გამართოს სათანადო მოლაპარაკება მთავრობასთან ამ საქმის დასაჩქარებლათ.

ქალაქთა კავშირის უფროსი ინჟინერი ეცნობა ამ საკითხს და ხუთშაბათს 12 თებერვალს გაიმართება თათბირი სპეციალისტებისა, რის შემდეგაც მოლაპარაკება გაიმართება მთავრობასთან.

X.

განცხადებანი

ექიმი ა. ლევინშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების; [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელის, ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფოლიდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. ბ. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.

ექიმი დ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩუბინიშვილის ქუჩა № 37, ვაგზლის აფთიაქის ახლო.

ექიმი ა. დ. [illegible]
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიუ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეზრაპიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, [illegible] და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარს. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ს. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. შინ. ფურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამახარაძე—10—12 ს. შინაგ. ნერვ. და ბავშვთა ავად. [illegible].
მ. მ. აგეტისიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარაპეტ-ბებუთიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. [illegible]—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
[illegible]—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ქ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 318)

ექიმი გ. მ. მშინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—37. (114—თ).

ექიმი ქალი ე. ს. ბებუთიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იმერელოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, გულის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იმერელოვის ქუჩა № 11. მიხაილოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

[illegible] № 1.